ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 18 – 19 ივლისი, 2015

1166 (6786)

აფცბ5 №) სტსჰბ



## სააკაშვილმა მოადგილედ რუსეთის ყოფილი პრემიერის შვილი დანიშნა

ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა 17 ივლისს მოადგილის პოსტზე ცნობილი რუსი ოპოზიციონერი მარია გაიდარი წარადგინა.

32 წლის გაიდარი რუსეთის ყოფილი პრემიერის, ეგორ გაიდარის შვილია. იგი რუსეთში ოპოზიციურ მოძრაობაში მონაწილეობდა, 2009-2011 წლებში კიროვის გუბერნატორის მოადგილე იყო, გადადგომის შემდეგ ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლობდა.

მოგვიანებით სააკაშვილი მარია გაიდარის დანიშვნაზე რუსული მხარის რეაქციას გამოეხმაურა.

— მას მოღალატეს უწოდებენ, გენერალ ვლასოვს ადარებენ. სინამდვილეში ის მოვიწვიე, უპირველესად, როგორც გამოცდილი, კომპეტენტური ეკონომისტი, კარგი განათლების ადამიანი, რომელსაც გულწრფელად სურს ახალი და მტკიცე უკრაინის ჩვენთან ერთად აშენება. ის სწორად ამბობს — უკრაინის წარმატება პუტინის დაუყოვნებლივი დამარცხება იქნება, — წერს მიხეილ სააკაშვილი ფეისბუქში.

# გია ხუხაშვილი: ნაციონალები ცხინვალის თემით სპეკულირებენ!“



ჟურნალისტები, პოლიტიკოსები რომ ჩავიდნენ კონფლიქტის ზონაში, არა მგონია, ეს ყველაფერი საჭირო იყო. პრობლემა ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე იმის გარჩევა, ეს შენია, ის ჩემია.

გვ.2

## ცემა-ტყეპა ორჭოსანთან

‘თვითონ ჩამოვლენ, პიარს გაიკეთებენ, რამდენიმე ხმამაღალ განცხადებას გააკეთებენ, იბაქიბუქებენ და შემდეგ კი უკანმოუხედავად მიდიან თბილისისკენ. ჩვენ კი აქ ვრჩებით და ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გვიმძიმდება. მოსავალი გვაქვს ასაღები, აქამდე თუ გვქონდა იმის საშუალება, რომ ჩვენს ბაღებში შევსულიყავით და ხორბლის და ქერის ნათესები აგვეღო, ახლა მოსავლის აღების საშუალებაც შეგვეზღუდა~.



გვ.4

## გია კორკოტაშვილი: ანდრო ბარნოვი თავისი ნებით უნდა ჩაბარდეს პოლიციას“



ბარნოვი ისე კარგად ასრულებდა ამ როლს, და ნიკო მომაგონდა

გვ.3



„რუსეთუმეობას იმიტომ მაბრალებენ, რომ სიმართლეს ვამბობ. რუსეთი გეოგრაფიულად ჩვენი მეზობელია. გვინდა თუ არა, ჩვენ მათთან კავშირი უნდა გვქონდეს. ამას სულ ვამბობ და სულ ვიტყვი, და მეძახონ რუსეთუმე. მე კი არა, ერეკლე მეფეს სწამებენ რუსეთუმეობას. ამბობენ, რუსეთთან შეერთებას, ირანთან შეერთება სჯობდაო“.

ISSN 1987-9385

## თინა ხიდაშელი: მთავარია, ქვეყნის ტერიტორიაზე არ დავუშვათ ომი“

გვ.4





## გიუნტერ ბეხლერი: ქართველებს შეუძლიათ იამაყონ ბოლო წლების მიღწევებით“

გვ.5

## აფხაზეთში პოლიციის მაღალჩინოსნის მანქანა დაცხრილეს

გვ.5

ხაჯიმბამ თავდაცვის მინისტრის მოადგილე მოხსნა



ქეჰ]ბ ოზსტქბ .დზსტქბ იფდზ

# გია ხუხაშვილი: ნაციონალები ცხინვალის თემით სპეკულირებენ!“





ნათია ხურცილავა

**ხურვალეთის მოსახლეობამ გუშინ, 17 ივლისს, ჟურნალისტების მიერ რამდენიმე დღის წინ გამართული აქცია, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის დემონტაჟი და ყოფილ გუბერნატორ ანდრო ბარნოვის მიერ გაკეთებული განცხადებები გააპროტესტა. მათი განცხადებით, ოკუპანტებთან პირისპირ თვითონ რჩებიან და ეს ყველაფერი პროვოკაციულ ხასიათს ატარებს.**

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი გია ხუხაშვილი ხურვალეთსა და წითელუბანში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***— ბატონო გია, ხურვალეთის მოსახლეობამ გააპროტესტა სამხრეთი ოსეთის ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის დემონტაჟი და ყოფილ გუბერნატორ ანდრო ბარნოვის მიერ გაკეთებული განცხადებები. ეს ქმედება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან პროვოკაციულ ხასიათს ხომ არ ატარებს, თუ ისინი გულწრფელად აპროტესტებენ ოკუპაციას?***

— ნაციონალური მოძრაობა ამ თემის ესკალირებას, დეტონირებას ცდილობს. რა თქმა უნდა, ეს ჰგავს პროვოკაციას. ეს თემა მათი ინიცირებული არ არის. ეს პრობლემა არსებობს და, ბუნებრივია, ჩვენთვის არასასიამოვნო და არასახარბიელო მოძრაობები იყო, მაგრამ ამას ვითარების ესკალაციისთვის იყენებენ. ამაზე ააგეს დიდი პროვოკაცია. გარკვეულწილად, ჭიქაში ქარიშხალი ატეხეს და ამის დიდოსტატები არიან. ძალიან ცინიკურია მათი მხრიდან სწორედ ამ საკითხზე ასეთი რიხით პედალირება.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს, 10 აგვისტოს, მე და ერთ-ერთი გაზეთის მთავარი რედაქტორი გორში ჩავედით. მაშინ გორში ნაციონალური მოძრაობის არც ერთი წარმომადგენლის ჭაჭანება არ იყო, მათ ოფისს ბოქლომი ედო, გუბერნატორი გაქცეული იყო, მაშინ როდესაც იქ რუსები არ იყვნენ შემოსული. ჩვენ კობა ლიკლიკაძე შეგვხვდა და სანთლით ვეძებდით მაშინდელი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს მაინც. ნაციონალური მოძრაობა მაშინ აბსოლუტურად დემორალიზებული, ძალაგამოცლილი იყო. დღეს ასეთი „ვაჟკაცობის“ გამოვლინება ძალიან ცინიკურად ჩანს. ჩვენ 2008 წლის 10 აგვისტოს ვნახეთ მათი ვაჟკაცობა. ამას პარტიულ ელიტაზე ვლაპარაკობ და არა მებრძოლებზე. არათუ ხურვალეთში, გორშიც აღარ იყვნენ, გორი დაცლილი ჰქონდათ და თბილისს იყვნენ გაცლენილი წითელი ხიდის მიმართულებით. ეს ადამიანები დღეს კამერების წინ პოზირებენ და ფსევდოვაჟკაცობის აბსურდულ სცენარს გვთავაზობენ.

***— პოლიციამ გარკვეული ზომები მიიღო. ხურვალეთსა და წითელუბნაში შესვლა გამკაცრდა. ამ მოქმედებას რით ხსნით და რამდენად არის ლოგიკური?***

— ეს არის აბსოლუტურად ლოგიკური ქცევა. ახლა მთავარია პრევენცია, რომ არ მოხდეს პირისპირ რაღაცის პროვოცირება. ესკალაციის პროვოცირების ინტერესი მეორე მხარესაც შეიძლება გაუჩნდეს. იქაც მოიძებნებიან ანალოგიური მენტალიტეტის ადამიანები. არაფრით არ შეიძლება, რომ ახლა პროვოკაციის შედეგად კონფლიქტური სიტუაცია მივიღოთ. იქ ჩასული ანდრო ბარნოვი რომ ყვიროდა, სად არის სპეცნაზიო, კი მაგრამ, რა უნდა გააკეთოს სპეცნაზმა? უნდა ესროლოს? ასეთი კონფლიქტის დროს სპეცნაზით აპელირება წმინდა წყლის პროვოკაციაა და მეტი არაფერი. ეს საკითხი მრგვალ მაგიდასთან უნდა გადაწყდეს. რადგან ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ ამ კონფლიქტის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით გვინდა, პროვოკაციებს თავი უნდა ავარიდოთ. სად უნდა იყოს ფინიშის ხაზი და სად — არა, ამაზე საუბარი არ შეიძლება, რადგან მთლიანად ის ტერიტორია საქართველოს ტერიტორიაა. როგორც კი ფინიშის გადაწევა-გადმოწევაზე ვიწყებთ საუბარს, ამით ირიბად ვადასტურებთ, რომ არსებობს გარკვეული ტერიტორია, რომელიც ჩვენია და არსებობს ტერიტორია, რომელიც ჩვენი არ არის. სწორედ ამაზე ჰქონდა ოსურ მხარეს ცინიკური, ირონიული რეაქცია. როდესაც ჩვენი მხრიდან განცხადებები კეთდება, ყველა სიტყვა კარგად უნდა იყოს აწონილი. ფინიშის აღმნიშვნელი ბანერი სად იდგმება, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან არა მხოლოდ ეს ტერიტორია, არამედ მთელი ცხინვალის რეგიონი საქართველოს ტერიტორიაა. თუ ჩვენ ადმინისტრაციულ საზღვარზე ვსაუბრობთ, მაშინ ასეთი ესკალაცია არასწორია. იმედია, სახელმწიფოებრივ საზღვარზე არავინ საუბრობს. მე მაინც მგონია, რომ როდესაც საკითხს ცივი გონებით განვიხილავთ, ალბათ, ორშაბათის მერე უნდა მოვისმინოთ კომპეტენტური აზრები და გამოსავალი არსებული ვითარებიდან. თუ ეს შეხვედრა ასეთი ესკალაციის ფონზე შედგა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა უბიძგებს, მაშინ, ბუნებრივია, შეხვედრა დამთავრდება იმაზე უარესად, ვიდრე შეიძლებოდა დასრულებულიყო სხვა ვითარებაში.

***— საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ არასაკმარის ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება.***

— საკმარისად რა მიაჩნიათ? მაშინ ისიც უნდა თქვან, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ. საერთაშორისო თანამეგობრობაზე იყო აპელირება, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობამ გააკეთა განცხადებები, განცხადება გააკეთა გეროს გენერალურმა მდივანმაც, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა. არსებობს რამდენიმე მექანიზმი: ერთი, საერთაშორისო ზეწოლა, მეორე, მათთან მოლაპარაკებები და მესამე, სროლა. ჩვენ თუ სროლას გამოვრიცხავთ და უნდა გამოვრიცხოთ, ეს ორი მექანიზმი ამოქმედებულია, შეიძლება, ხარვეზები იყოს, უკეთესი მომლაპარაკებლები გვყავდეს და ა.შ. ეს სხვა საკითხია.

რაც შეეხება ოპოზიციას, ეს მათთვის პოლიტიკური თემაა. სამწუხაროდ, ჩვენთან პოლიტიკა ყოველთვის წინ უსწრებს სახელმწიფოებრივ აზროვნებას. პოლიტიკოსები არასდროს დაგიდევენ სახელმწიფო ინტერესს და ნებისმიერ თემას იყენებენ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც უნდა იყოს პოლიტიკური ტაქტი. მე ვფიქრობ, ოპოზიციის მხრიდან გარკვეული უპასუხისმგებლობაა, როდესაც ამ საკითხის დეტონაციას ცდილობენ. ჟურნალისტები, პოლიტიკოსები რომ ჩავიდნენ, არა მგონია, ეს ყველაფერი საჭირო იყო. პრობლემა ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე იმის გარჩევა, ეს შენია, ის ჩემია.

***— ბატონო გია, თუ სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი არ დააფიქსირებდა ასეთ პროტესტს, სამოქალაქო სექტორის, საზოგადოების წარმომადგენლებმა მაინც ხომ უნდა დააფიქსირონ, რომ ჩვენ არ ვეგუებით?***

— რა თქმა უნდა, პროტესტი უნდა იყოს, მაგრამ პროტესტის ფორმები უფრო დახვეწილი, უფრო სოლიდური უნდა იყოს და არა კონფლიქტის პროვოცირების ზღვარზე. არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ, რომ პროტესტი არ უნდა იყოს. პროტესტი მუდმივად იქნება, სანამ არ აღდგება ჩვენი ქვეყნის მთლიანობა. არ უნდა დავეშვათ იმაზე დაბლა ამ პროტესტშიც, ვიდრე ქართველი ხალხი იმსახურებს. ჩემთვის მაინცდამაინც მისაღები არ არის, როდესაც რაღაცას თელავენ, ამტვრევენ და ანგრევენ. ჩვენ ვნახეთ, რა დემონსტრაციულად მოიქცა ოსური მხარე. მათ ქართული დროშა კი არ დაწვეს და გათელეს, მოხსნეს, ტელეკამერის წინ დააფიქსირეს, რომ მტრის სიმბოლიკასაც პატივს სცემენ, ქართულ დროშას პატივისცემით მოექცნენ. ჩვენდა სამწუხაროდ, ესთეტიკის თვალსაზრისით მათ მორალურ გამარჯვებას მიაღწიეს. მათ არ გაიმეორეს ის, რაც მეორე მხარემ გააკეთა. ასეთი მორალური უპირატესობის მიღების შესაძლებლობა ჩვენს მოწინააღმდეგეებს არასდროს არ უნდა მივცეთ, მორალურად ყოველთვის მათზე მაღლა უნდა ვიყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უფრო სისუსტის გამოვლინებაა, ვიდრე ძალის.

***— პარალელებს არ ვავლებ, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ზაფხულში? აგვისტო მოდის, ახალგაზრდული ოლიმპიადა გველოდება. შეიძლება, რუსეთი უფრო ღრმად წავიდეს და მხოლოდ საოკუპაციო ხაზის გადმოწევას არ დასჯერდეს?***

— არ მინდა, რაღაც საკრალური დავინახო, მაგრამ არის გარკვეული დამთხვევები. ზოგადად ზაფხული მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური პერიოდია. ოლიმპიადა უფრო დამთხვევა მგონია, ვიდრე ჩანაფიქრი. სხვათა შორის, აგვისტოში უკრაინაში ყველა პროგნოზით გარკვეული ესკალაციაა მოსალოდნელი. რუსეთს მიაჩნია, რომ მათთვის ეს პერიოდი წინ წაწევისთვის კარგი დროა, ამის უკან ვარსკვლავთმრიცხველები დგანან თუ პოლიტტექნოლოგები, ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება.

***— ბატონო გია, ამ ფონზე რამდენად ადეკვატურად გამოიყურება ხელისუფლება?***

— თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ისინი მაქსიმუმს აკეთებენ. შეიძლება, ხელისუფლებასთან იყოს პრეტენზიები სხვადასხვა კრიზისის მართვის დროს, რომ საკმარისად კომპეტენტურები, მასშტაბურად მოაზროვნეები არ არიან, მაგრამ თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ცდილობენ, მაქსიმუმი გააკეთონ. ჯობია, ამ ყველაფრის უფრო უკეთესი მენეჯმენტი ხდებოდეს. სამართლიანობისთვის უნდა ვთქვა, რომ მაქსიმუმს ცდილობენ. საკუთარ თავს ვერავინ გადაახტება. მმართველობითი კრიზისი გვაქვს, მაგრამ ეს გამოწვეულია არა იმით, რომ მათ არ უნდათ ან მონდომებული არ არიან, არამედ იმით, რომ მეტი არ ძალუძთ. ამ კადრებით რისი გაკეთებაც არის შესაძლებელი, ის კეთ-

**ჟურნალისტები, პოლიტიკოსები რომ ჩავიდნენ კონფლიქტის ზონაში, არა მგონია, ეს ყველაფერი საჭირო იყო. პრობლემა ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე იმის გარჩევა, ეს შენია, ის ჩემია.**

ანდრო ბარნოვი ყვიროდა, სად არის სპეცნაზიო. კი მაგრამ, რა უნდა გააკეთოს სპეცნაზმა? უნდა ესროლოს? ასეთი კონფლიქტის დროს სპეცნაზით აპელირება წმინდა წყლის პროვოკაციაა და მეტი არაფერი. ეს საკითხი მრგვალ მაგიდასთან უნდა გადაწყდეს. რადგან ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ ამ კონფლიქტის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით გვინდა, პროვოკაციებს თავი უნდა ავარიდოთ.

## თამარ ბერუჩაშვილი: რუსეთის ქმედებები ყველა ჩვენმა პარტნიორმა დაგმო“



საგარეო საქმეთა მინისტრის თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, საქართველოს ყველა პარტნიორმა ქვეყანამ და ორგანიზაციამ ევროკავშირისა და ეუთოს მასშტაბით დაგმო ის ქმედებები, რაც რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელდა.

ბერუჩაშვილის განცხადებითვე, მათი შეფასებით, რუსი სამხედროების მიერ ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დადგმა, მცოცავი ანექსიაა.

**თამარ ბერუჩაშვილი:**

— ყველა ჩვენმა პარტნიორმა ევროკავშირის მხრიდან, ასევე ყველა ჩვენმა პარტნიორმა ეუთოს მასშტაბით, განსაკუთრებულად, ძალიან მკაფიოდ დაგმო ის ქმედება რაც განხორციელდა. დაგმო, როგორც მცოცავი ანექსიის გაგრძელება, რომელიც ასევე, ადგილზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლების შელახვად განიხილება. ასევე მოუწოდა რუსეთის მხარეს, რომ განახორციელოს ყველა შესაძლო ღონისძიება, რომ ანალოგიური არ განმეორდეს.

10 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ორჭოსანსა და წითელუბანთან ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დამონტაჟდა. საერთაშორისო თანამებობრობამ ეს ფაქტი მცოცავ ოკუპაციად შეაფასა. ოპოზიცია კი საერთაშორისო გამოხმაურებებით უკმაყოფილოა. მათი თქმით აქტივობა და გამოხმაურებები საკმაოდ მცირეა და ამ კუთხით მეტი მუშაობაა საჭირო.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# გია კორკოტაშვილი: ანდრო ბარნოვი თავისი ნებით უნდა ჩაბარდეს პოლიციას“




შორენა მარსაგიშვილი

**ვინ აბრალებს 50.000 დოლარის აღებას, რატომ არის საჭირო სასულიერო პირების ლუსტრაცია, რა უნდა გაეკეთებინა ანდრო ბარნოვს, ვინ არის ქვეყნიდან გასარეკი? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ორგანიზაცია „ქართული მისიის“ თავმჯდომარე გია კორკოტაშვილი ესაუბრება.**

გია კორკოტაშვილი:

***— რა კარგია, რომ დამირეკეთ „ახალი თაობიდან“. ახლა გავიგე, რომ 50.000 დოლარი ამიღია და რამდენიმე გაზეთი რესტორანში უნდა დავპატიჟოთ. ოღონდ რესტორანი ჩვენ აგვარჩევინეთ. 50.000 ალბათ გვეყოფათ.***

— რა ფულის აღებაზე საუბრობთ, ბატონო გია? ჩვენ თქვენთან სხვა თემაზე გვინდოდა ინტერვიუს ჩაწერა, მაგრამ ეს თემაც სკანდალურად გამოიყურება.

***— ფულის აღებას ვინმე გაგიკ კარსლიანი მაბრალებს. ამ თემაზე უზარმაზარი ინტერვიუც მისცა. ეს კაცი ნინოწმინდის გამგებელია. თურმე ფული მოვითხოვეთ, რომ რაღაცა არ გვეთქვა. ბატონმა გაგიკმა ეს განცხადება რაღაცის გადასაფარად გააკეთა. საქმე ეგრე მარტივად არ არის. ამ ბრალდებებს ურჩევნია, რაიონში საქმე გააკეთოს.***

„ქართული მისია“ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად დავდივართ და რეგიონებში არსებულ ვითარებას ვეცნობით.

***— რა სტატუსით ეცნობით რეგიონებში არსებულ ვითარებას?***

— არასამთავრობოების სტატუსით. სხვა არასამთავრობოებს თუ აქვთ ამის უფლება, ჩვენ არ შეგვიძლია ამის გაკეთება? მთელ საქართველოს შემოვივლით და ვნახავთ, როგორ კეთდება ის, რისი პირობაც ბიძინა ივანიშვილმა და ირაკლი ღარიბაშვილმა დადეს.

გულხელდაკრეფილები ნამდვილად ვერ ვისხდებით, როცა ვხედავთ, როგორ ლპება ეს ქვეყანა. ის შხამიანი ხალხია მოსაშორებელი, ვინც გზა ვერ გაიყვანა და ხალხს პირობები არ შეუქმნა. მოვივლით მთელ ქვეყანას და იმ ტიპებს ვამხელთ, ვინც დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს. ბოლომდე გავალთ, გეოლოგიური ბურღით დავბურღავთ მაგათ ყველას.

***— რეგიონებში რომ ჩადიხართ, რას აკეთებთ? გზას ამოწმებთ, ხალხს ეკითხებით, რა უჭირს თუ ადგილობრივ ხელისუფლებასთან გაქვთ საუბრები?***

— ადგილებზე ვაყალიბებთ რეგიონულ ორგანიზაციებს და მათგან მივიღებთ ინფორმაციებს. რუსთავში, ბორჯომ-ბაკურიანში მაგარი ოქრო ხალხი გვყავს, ასევეა ქუთაისშიც. ბათუმში ამ ზაფხულს დაფუძნდება ჩვენი ორგანიზაცია.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ვხვდებით და მათაც ვესაუბრებით იმაზე, სადაც საქმე კარგად ვერ არის. დროა, ახალი ქვეყნის მშენებლობა დავიწყოთ. ეს ჩირქი უნდა გავდენოთ.

***— ჩირქში ვის გულისხმობთ?***

— პირველ რიგში, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს. მათ უნდა მივაყოლოთ ის მეოცნებეები, რომლებიც დამნაშავე ნაციონალებთან კოჰაბიტირებენ. საბედნიეროდ, „ქართულ ოცნებაში“ მართალი და რაინდი ხალხი არის. ძალაუფლება მათ უნდა აიღონ ბოლომდე ხელში. ჩვენ მაგათ გვერდზე ვართ.

***— ვის გულისხმობთ მართალ და რაინდ ხალხში?***

— ვინც მართალი და რაინდია. მათ ვინაობას არ დავასახელებ, იმიტომ, რომ დაიწყებენ, ამის დავალებით მოქმედებსო. ვინცაა „ოცნებაში“ რაინდი, ამას, მგონი, ყველა ხვდება.

***— ახლა გადავიდეთ იმ საკითხზე, რისთვისაც დაგირეკეთ. ე.წ. საზღვრის გადმოწევაზე რა რეაქცია უნდა ჰქონდეს ხალხს და ხელისუფლებას?***

— რეაქცია სათანადო უნდა იყოს და არა ისეთი, ანდრო ბარნოვს რომ ჰქონდა. მის ჩხუბს ვუყურე თავიდან ბოლომდე და ბატონმა ანდრომ რატომღაც რობერტ დე ნირო გამახსენა.

***— რითი ჰგავს ბარნოვი დე ნიროს?***

— ისე კარგად ასრულებდა ამ როლს, დე ნირო მომაგონდა. მთელი სამაჩაბლო რომ დაგვამხეს თავზე, მაშინ სად იყო ანდრო ბარნოვი? ახალგორი რომ ჩააბარეს, მაშინ რატომ არ ჩხუბობდა ბარნოვი? კოდორის ხეობა რომ უბრძოლველად ჩააბარეს, რატომ არ დასჭყიოდა მიშას ბატონი ანდრო? გამოვიდეს და აგვიხსნას, სად იყო და რას აკეთებდა იმ დროს?!

***— იმ დროს ბარნოვი ექსპერტი იყო.***

— მერე ექსპერტულად ეყვირა. მაგის ყვირილი მაშინ რატომღაც არ ისმოდა. ახლა გავარდა და პოლიციას დაუწყო საქმის გარჩევა.

***— პოლიციის შეურაცხყოფა დასჯადი ქმედებაა. რატომ არ დააკავეს სამართალდამცავებმა ბარნოვი?***

— დასაკავებელი იყო, მართლა არ ვიცი, რატომ არ დააკავეს. ბატონ ბარნოვს სინდისი რომ ჰქონოდა, თავად უნდა წასულიყო და ადგილობრივი პოლიციის ორგანოს უნდა ჩაბარებოდა. ასეთი ყვირილის და ჭყივილის გამო, მაგას, მინიმუმ, ადმინისტრაციული ჯარიმა ეკუთვნის.

***— ეს ქმედება მას ყოფილმა თანამებრძოლმა გოგა ხაჩიძემაც კი დაუგმო.***

— ნაციონალებიდან წამოსვლის შემდეგ ისეთი მოძრაობები გააკეთა ამ ადამიანმა, აშკარად გონება გაუნათდა.

***— ბარნოვის ქმედება გასაგებია, მაგრამ ხელისუფლების პოზიციაზე რას იტყვით?***

— არის პრეცედენტები, როცა ადამიანები ამ თემებზე პროვოკაციებს აწყობენ და პიარს იკეთებენ. ამ საქმის დიდოსტატი არის ნაციონალური მოძრაობა. გავიხსენოთ მოდელირებული ქრონიკა. საინტერესო ამბავი მოხდა წლების წინ განმუხურის პატრიოტთა ბანაკში, სადაც ვითომ რუსები შეიჭრნენ, მერე იქ ჩავიდა მიხეილ სააკაშვილი და ისინი კინწისკვრით „გაყარა“. კაცი რომ სამჯერ გააკეთებს ასეთ ფოკუსს, მეოთხედაც შეუძლია მისი გამეორება.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ნაციონალების მიერ მოწყობილი ფოკუსია?***

— ვერ ხედავთ, რა დღეში არიან, მაგათი მოწყობილია, აბა, რა არის! ე.წ. საზღვრის გადმოწევას მაგათ ნამდვილად არ ვაბრალებ. ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენელმა მურატ ჯიოევმა თქვა, ჩემი გაკეთებულიაო.

ამ დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რასაც აქამდეც ვამბობდით. მიშა სააკაშვილი რუსეთთან პირდაპირ კავშირშია. ამაზე ბიძამისის ისტორიაც მეტყველებს. ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ყველა სტრატეგიული ობიექტი ნაციონალებმა ჩააბარეს რუსებს.

***— ამ მოვლენებთან სააკაშვილს რა კავშირი უნდა ჰქონდეს? მან უთხრა რუსებს, ოსებს ე.წ. საზღვრის გადაწევის უფლება მიეცითო?***

— ამის მტკიცებას არ ვაპირებ, მაგრამ მანიპულაციები სულ შეიძლება. რუსებს თავზე ხელს ნამდვილად ვერ გადავუსვამ, გადმოდიან და გადმოდიან ჩვენს მიწაზე.

***— რუსეთს თავზე ხელს ვერ გადავუსვამო, ამბობთ და აბა, რატომ გაბრალებენ რუსეთუმეობას?***

— რუსეთუმეობას იმიტომ მაბრალებენ, რომ სიმართლეს ვამბობ. რუსეთი გეოგრაფიულად ჩვენი მეზობელია. გვინდა თუ არა, ჩვენ მათთან






კავშირი უნდა გვქონდეს. ამას სულ ვამბობ და სულ ვიტყვი, და მეძახონ რუსეთუმე. მე კი არა, ერეკლე მეფეს სწამებენ რუსეთუმეობას. ამბობენ, რუსეთთან შეერთებას, ირანთან შეერთება სჯობდაო.

კიდევ ვამბობ, რუსეთს თავზე ხელი არ უნდა გადავუსვათ, მაგრამ მოსკოვთან რომ ვითარება დასალაგებელია, ეს საკამათო არ არის.

***— თქვენი არ იყოს, რუსეთუმეობას პაატა ზაქარეიშვილსაც აბრალებენ. როგორც რუსეთუმედ შერაცხული, რას იტყვით მის ბოლო განცხადებებზე?***

— ბატონ პაატა ზაქარეიშვილზე მერე ვისაუბრებ, როცა ხელისუფლებაში მოვალ. მანამდე კი მთავრობას მოვუწოდებ, ქართული ტვინით იცხოვრონ და ვიღაცების ნუ ეშინიათ.

***— ვინ ვიღაცების?***

— იქეთ ამერიკის, აქეთ რუსეთის და ევროპის. ქართული ტვინით მოქმედებაა საჭირო.

***— საოკუპაციო ხაზის გადმოწევას რა უნდა დაუპირისპიროს ხელისუფლებამ? ასე თუ მივუშვით რუსები, შესაძლოა, მცხეთასთან ჩამოვიდნენ.***

— მოლაპარაკებებია საჭირო. უნდა მოვერიდოთ რუსეთის გაღიზიანებასაც. რამდენსაც გავაღიზიანებთ, იმდენჯერ ჩამოგვიწევს საზღვარს. ამერიკა კარგია, მაგრამ მარტო მაგათ ჭკუაზე სიარული არ გვარგებს. ამ ორი გიგანტი სახელმწიფოს ჭიდილის მსხვერპლი არ უნდა გავხდეთ. სადმე სხვაგან დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ჩემს ქვეყანას ნუ გადააქცევენ პოლიგონად.

***— ნეიტრალიტეტის მომხრე ხართ, არც ამერიკა და არც რუსეთი?***

— ნეიტრალიტეტის კი არა, იმის მომხრე ვარ, ჩემი ქვეყანა იყოს კარგად. თუ არაფერი გავაკეთეთ, ეს პროვოკაციები გაგრძელდება. თუ ვინმეს რამეში ეპარება ეჭვი, აგერ გადახედონ უკრაინას.

***— თქვენი აზრით, საქართველოშიც შეიძლება იგივე მოხდეს, რაც უკრაინაში ხდება?***

— საქართველოში ეგეთი რამე უკვე მოხდა. არ არის გამორიცხული მისი გამეორება. ქვეყანას გონიერი მმართველი უნდა ჰყავდეს, რომელიც რუსეთსა და აშშ-ს შორის ლავირებას მოახერხებს. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველო სულ ლავირებაში იყო და როგორღაც მოვედით აქამდე.

***— გონიერი მმართველის აუცილებლობაზე საუბრობთ და ხედავთ ხელისუფლებაში ასეთს?***

— როგორ არ ვხედავ. მაგათი იმედი მაქვს, თორემ ვიტყოდი, რომ დაღუპულები ვართ.

***— ვინ მიგაჩნიათ გონიერ მმართველად?***

— არ ვიტყვი. წმინდა მამებს რომ აქებდნენ, გარბოდნენ, ქება რომ არ მოესმინათ. მეშინია, მაგათაც ასე არ მოუვიდეთ და არ გაიქცნენ.

***— რელიგიურ თემაზე გადავედით და ამ თემაზე თქვენს ერთ განცხადებას დიდი ამბავი მოჰყვა. თქვენ სასულიერო პირების ლუსტრაცია მოითხოვეთ.***

— მე ამას ახლაც ვითხოვ და ვიმეორებ, რომ ამის გაკეთება აუცილებელია. რაც მალე გაკეთდება, მით უკეთესი იქნება.

***— რატომ მიხვედით იმ აზრამდე, რომ მათი ლუსტრაცია აუცილებელია?***

— დაწვრილებით რომ ვისაუბრო, განკითხვა გამომივა და ეს არ მინდა. იმას ვიტყვი, რომ სასულიერო პირებში, სამწუხაროდ, ბევრი წარსულშია ჩარჩენილი.

***— წარსულში ჩარჩენილი რას ნიშნავს?***

— რას ნიშნავს და იმას, რომ ნაციონალების მხარდამჭერები არიან. სამწუხაროდ, ასეთები სინოდის წევრებიც არიან.

ნაციონალური ჭირი, როგორც იქნა, გადავიტანეთ და ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთ. ამიტომ ვეწინააღმდეგები ამ სასულიერო პირებს.

ამ შეფასების გამოც დამაბრალეს რაღაცები, მაგრამ, ღვთის წყალობით, ყველაფერს ვიტან. რაც მთავარია, ხალხს სჯერა ჩემი და ეს ძალიან მახარებს.



## აკაკი მინაშვილი: საქართველოს და რუსეთის ხელისუფლება ერთი და იგივე სიმღერას მღერიან“

საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი მინაშვილი შერიგების და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებას გამოეხმაურა. აკაკი მინაშვილის თქმით, საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლება ერთსა და იმავე სიმღერას მღერიან და ზაქარეიშვილი იმ სიტყვებს იმეორებს, რაც კარასინმა ჟენევის მოლაპარაკებებისას თქვა.

— ზაქარეიშვილის მთავარი მიმართულება არგუმენტაციის ის კი არ არის, რომ როგორმე პრინციპული პოზიცია დაიკავოს რუსეთის წინააღმდეგ, არამედ მისი მთავარი არგუმენტაცია არის ის, რომ თითქოს ეს ბანერი დაიდგა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ანუ ის გარკვეულწილად გულისხმობს იმას, რომ ამ ბანერის დადგმა მოხდა ლეგალურად. ეს მან ათასჯერ გაიმეორა და სწორედ ეს თქვა კარასინმა ჟენევაში. ერთიდაიგივე სიმღერას მღერიან საქართველოს ხელისუფლება და რუსეთის ხელისუფლება, რომელიც ახორციელებს საქართველოს ოკუპაციას, — განაცხადა აკაკი მინაშვილმა.

ნიუსპოსტი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თინა ხიდაშელი: მთავარია, ქვეყნის ტერიტორიაზე არ დავუშვათ ომი“



შორენა მარსაგიშვილი

**საფრანგეთში გაფორმებული ხელშეკრულების გამო თინა ხიდაშელი პარლამენტში რამდენჯერმე დაიბარეს. თავდაცვის მინისტრი ნდობის ჯგუფის წინაშე 17 ივლისს წარდგა და როგორც თავად განაცხადა, დეპუტატების კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.**

— საუბარი გვქონდა ხელშეკრულების ყველა დეტალზე, დაწყებული იმ მოლაპარაკებებიდან, რომელიც 2012 წლის ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მოხდა ქვეყანაში, დასრულებული იმით, რასაც მოვაწერეთ ხელი. ვფიქრობ, რომ ყველა კითხვას ამომწურავად გავეცით პასუხი. ყველა დამშვიდდება და დაწყნარდება ამის შემდეგ. ძალიან სერიოზული ხელშეკრულება დავდეთ. ქვეყნისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია თავდაცვისუნარიანობის გამყარების თვალსაზრისით. ამ ხელშეკრულებამ დიდი შესაძლებლობები გაუჩინა საქართველოს ასევე ყველა მეგობარ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, ჩუმი ემბარგოს პირობებთან ბრძოლაში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ჰქონდა საქართველოს. ვფიქრობთ, რომ თავდაცვის სამინისტროს გუნდმა მოვახერხეთ ამომწურავად გაგვეცა პასუხი ყველასთვის, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ხიდაშელთან გასაუბრება ყველაზე მეტად თავისუფალ დემოკრატებს სურდათ. მოგეხსენებათ, რომ მათი ლიდერი, ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრობისას თავადაც აპირებდა საფრანგეთთან ხელშეკრულების გაფორმებას.

როგორც თავისუფალი დემოკრატები ამბობენ, ხელისუფლებამ ალასანიას ამ შეთანხმების გაფორმება ჩაუშალა. სწორედ ამ ფაქტს უკავშირებენ თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებას. ე.წ. კაბელების საქმე ალასანიას გადადგომით დასრულდა.

ხიდაშელმა საფრანგეთთან უპრობლემოდ გააფორმა ხელშეკრულება. ალასანიას ხალხმა განაცხადა, რომ ეს ის შეთანხმება არ იყო, რომლის გაფორმებასაც მათი ლიდერი აპირებდა.

ეს რომ ის ხელშეკრულება არ იყო, მოქმედმა თავდაცვის მინისტრმაც დაადასტურა. ამ პასუხით თავისუფალი დემოკრატები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, დღეს ნდობის ჯგუფის შეხვედრაზე საფრანგეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შეკითხვებს პასუხი გაეცა.

როგორც აბაშიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ყოფილ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას თავდაცვის კუთხით ბევრად უფრო მნიშვნელოვანი განზრახვები ჰქონდა.

— დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ საფრანგეთთან გაფორმებული ხელშეკრულებით გარკვეული ნაბიჯი იდგმება, თუმცა, რა განზრახულობებიც ჰქონდა წინამორბედ ირაკლი ალასანიას, ეს ის არ არის. მთავარია, დაველოდოთ შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, თუ როგორი იქნება ეს დროში გაწერილი და რეალურად განხორციელებული.

ჩვენ თუ არ გვექნება ძლიერი თავდაცვა, ქვეყანა ვერ განვითარდება და ვერ განხორციელდება ის პროექტები, რომელიც უნდა განხორციელებულიყო. აქედან გამომდინარე, ეს არის პირდაპირ კავშირში ქვეყნის განვითარებასთან, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

მისი თქმით, ქვეყნის საჰაერო, სახმელეთო თავდაცვა ეს უნდა იყოს დღევანდელი ხელისუფლების და მომავალში ყველა ხელისუფლების ძირითადი პრიორიტეტი.

თავდაცვის მინისტრს ხურვალეთთან განვითარებულ მოვლენებზეც მოუწია პასუხის გაცემა.

მინისტრის განცხადებით, პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს, არის ყველაზე უფრო სწორი, ეფექტური და მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი.

— მე ამ ხელისუფლების ნაწილი ვარ და ამ მთავრობაში მინისტრი ვარ ზუსტად იმიტომ, რომ, რა თქმა უნდა, ვფიქრობ, პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს, ეს არის ყველაზე უფრო სწორი, ეფექტური, მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი და საიმედო ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ჩვენი მთავარი ამოცანაა არ დავუშვათ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ომი და ამას წარმატებით ახორციელებს ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლება, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მინისტრს სამხრეთ ოსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერის დმიტრი ტასოევის განცხადებაზეც დაუსვეს კითხვა.

ამ კაცმა ოსურ მედიასთან საუბარში საქართველოს საგარეო და შინაგან საქმეთა სამინისტროებს მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, ამ უწყებებმა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარეს.

სხვა მინისტრებისგან განსხვავებით, სამხედრო უწყების ხელმძღვანელს ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია. ის სიცილისგან ჩაბჟირდა.

# ცემა-ტყეპა ორჭოსანთან

**სოფელ ორჭოსანთან 17 ივლისს დიდი ხმაური იყო. სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საგუშაგოსთან ხურვალეთის მოსახლეობა შეიკრიბა და საპროტესტო აქცია გამართა.**

## პოლიციამ „თავისუფალი ზონის“ წევრები დააკავა





აქცია იქ „თავისუფალი ზონის“ აქტივისტებმაც გამართეს. ისინი კონფლიქტის ზონის სიახლოვეს 24 საათიანი აქციის გამართვას გეგმავდნენ.

ეს ტერიტორია სამართალდამცველებს დილიდან ჰქონდათ გადაკეტილი. „თავისუფალი ზონის“ წევრები ძალის გამოყენებით შეეცადნენ ტერიტორიაზე შეღწევას.

ამას პოლიციელებსა და აქტივისტებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა.

პოლიციამ აქციის მონაწილე რამდენიმე პირი დააკავა..

— ფაქტობრივად, ავტობანზე დაგვხვდნენ პოლიცია და ჯარი, მათთან ერთად მობილიზებული იყო ადგილობრივების რვაკაციანი ჯგუფი, რომლებიც ამბობდნენ, რომ არ სჭირდება ოკუპაციას გაპროტესტება და თავი დაგვანებეთ, მოხდა შელაპარაკება, რასაც მოჰყვა ახალგაზრდების დაკავება, — აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ თავკაცი ლევან ხაბეიშვილი.

შედარებით მშვიდად ჩაიარა ხურვალეთის მოსახლეობის აქციამ. ისინი ორ ფაქტს აპროტესტებდნენ.

რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტებმა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი აიღეს და ხევში გადააგდეს. ხურვალეთის მოსახლეობა ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

მათი უკმაყოფილების მეორე მიზეზი ანდრო ბარნოვი იყო. ეს უკანასკნელი 16 ივლისს მივარდა საგუშაგოსთან და დებოში მოაწყო.

ადგილობრივების თქმით, ამგვარი ქმედებები პროვოკაციულ ხასიათს ატარებს, შემდგომ ეს ადამიანები თავად თბილისში ბრუნდებიან, ადგილობრივებს კი საკმაოდ სერიოზული პრობლემები ექმნებათ.

— თვითონ ჩამოვლენ, პიარს გაიკეთებენ, რამდენიმე ხმამაღალ განცხადებას გააკეთებენ, იბაქიბუქებენ და შემდეგ კი უკანმოუხედავად მიდიან თბილისისკენ. ჩვენ კი აქ ვრჩებით და ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გვიმძიმდება. მოსავალი გვაქვს ასაღები, აქამდე თუ გვქონდა იმის საშუალება, რომ ჩვენს ბაღებში შევსულიყავით და ხორბლის და ქერის ნათესები აგვეღო, ახლა მოსავლის აღების საშუალებაც შეგვეზღუდა. ჩამოვიდნენ აქ ადამიანები და დაგვიდგნენ გვერდში თუ ვაჟკაცობა ეყოფათ. ჩვენ უნდა დავსხდეთ კომბაინებზე და სერიოზული რისკის ფასად უნდა დავიწყოთ მოსავლის აღება, თუ ამდენი ვაჟკაცობა აქვს ანდრო ბარნოვს და იმ ადამიანებს, რომლებმაც ბანერი მოგლიჯეს, მოვიდნენ, კომბაინზე გვერდით დაგვისხდნენ და ჩვენთან ერთად მიიღონ მონაწილეობა ხორბლის აღებაში, — აცხადებს ხურვალეთის მოსახლეობა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

ადგილობრივი მცხოვრებლები ყურადღებას ხელისუფლებასაც სთხოვენ და ამბობენ, რომ სოფელ ხურვალეთში უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობაა.

სოფელ ორჭოსანსა და წითელუბანთან არსებულ საოკუპაციო ხაზთან გადაადგილებაზე შეზღუდვა 20 ივლისამდე გაგრძელდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელ შალვა ენუქიძის განცხადებით, შემდგომი ნაბიჯები კი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა შედეგით დასრულდება ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში რიგგარეშე სხდომა.

# დიმიტრი შაშკინი: მთვრალი რუსი პრაპორშიკები ავტომაგისტრალზე დადიან“




საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ განვითარებულ მოვლენებს ხელისუფლების მიერ გატარებულარასწორ პოლიტიკას უკავშირებს.

როგორც დიმიტრი შაშკინმა □ნიუპოსტთან□ საუბარში აღნიშნა. მოქმედმა ხელისუფლებამ 2012 წელს აღნიშნული ტერიტორიიდან სპეცდანიშნულების ძალები გამოიყვანა და ამით ცხინვალის მარიონეტულ ხელისუფლებას და რუს სამხედროებს საშუალება მისცა პროვოკაციული ქმედებები უფრო ადვილად განეხორციელებინათ.

**დიმიტრი შაშკინი:**

— იქ არსებული სიტუაცია არის შედეგი, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ახორციელებს ბოლო სამი წლის განმავლობაში. როდესაც გაქვს არჩევანი ბრძოლასა და უღირსობას შორის და აირჩევ უღირსობას ყოველთვის მიიღებ ომს, ეს ჩემზე ბევრად ბრძენმა ხალხმა თქვა. სამწუხაროდ ჩვენმა ხელისუფლებამ უღირსობა აირჩია და ახლა ჩვენ ვიღებთ ამ პოლიტიკის შედეგებს.

2012 წლამდე იქ იყო განლაგებული შსს-ს სპეცდანიშნულების ძალები და ეს იყო ერთგვარი პრევენცია ასეთი ნაბიჯებისგან. ეს ახლა რაც ხდება ბანერების დამონტაჟებით, ეს არის მარიონეტული ხელისუფლების და რუსი სამხედროების, იგივე ტეროსისტების პროვოკაცია. მე ჩვენი ხელისუფლების ლოგიკა არ მესმის, მაგრამ ალბათ ჩვენმა ხელისუფლებამ სპეცდანიშნულების ძალები გამოიყვანა იმის გამო, რომ თითქოს ეს ნაბიჯი იქნებოდა რუსეთის მიერ აღქმული როგორც კეთილი ჟესტი. ჩვენ ზუსტად იმ მოსავალს ვიღებთ, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ 2012 წელს დათესა.

შაშკინის თქმით აუცილებელია რომ ამ პროცესებზე დაუყოვნებლივი რეაგირება დაიწყოს, ერთერთ ნაბიჯად კი შაშკინი პაატა ზაქარეიშვილის თანამდებობიდან გადაყენებას მიიჩნევს.

— საფრთხე ახლა ბევრად უკვე გაზრდილია, ჩერჩილმა თქვა, რომ რუსეთი მხოლოდ ძალას სცემს პატივს, მან ასევე თქვა, რომ რუსეთთან მიღწეული შეთანხმების ფასი იგივეა, რაც იმ ქაღალდის ფასი, რომელზეც ეს შეთანხმებაა დაწერილი. ახლა მთავარი პრობლემა არის ის, რომ ჩვენი უუნარო პოლიტიკის გამო ბოროტების იმპერიის გარდა ახლა უკვე მივიღეთ ცხინვალის გათამამებული მარიონეტული რეჟიმი და რუსი □პრაპორშიკებიც□. მე ვამბობდი რომ ჩვენი მხრიდან დათმობები, ცხინვალის რეჟიმის მიერ აღქმული იქნებოდა, როგორც ჩვენი სისუსტე. თუ ადრე ჩვენ რუსეთის იმპერიას ვებრძოდით, ახლა დაემატა მთვრალ რუსი პრაპორშიკებთან და მათ მარიონეტებთან ბრძოლაც, — აღნიშნა შაშკინმა.

მისი თქმით, ამ საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა პოლიტიკას მოშორდეს მოღალატე სახელმწიფო მინისტრი, რომელიც გაუგებარია ვის ინტერესებს იცავს.

— ვგულისხმობ ზაქარეიშვილს და ამ პროცესებზე რეაგირება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მთვრალ რუს "პრაპორშიკებს" გორი-თბილისის ავტომაგისტრალზეც ვნახავთ. აგვიხსნას ხელისუფლებამ რას ნიშნავს მათ მიერ გაცხადებული რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. ამაში იგულისხმება მწვანილის გატანა და მოსკოვში ტაშფანდური? — აცხადებს შაშკინი.

ნიუსპოსტი

# აფხაზეთში პოლიციის მაღალჩინოსნის მანქანა დაცხრილეს

## ხაჯიმბამ თავდაცვის მინისტრის მოადგილე მოხსნა

მარიამ მჭედლიშვილი

**ოკუპირებულ აფხაზეთში დაძაბულობაა. ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა დაცხრილეს ქალაქ ახალი ათონის მილიციის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ლეიტენანტ ნური სმირის სამსახურებრივი მანქანა. ინციდენტი ფსოუ-ენგურის ტრასაზე, სოფელ ფსირცხასთან მოხდა. აფხაზური მილიციის ლეიტენანტი ამ დროს სოხუმიდან გუდაუთისკენ გადაადგილდებოდა და სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. ავტომატური იარაღით ავტომობილის დაცხრილვის შედეგად მანქანას ალი მოედო, თუმცა სმირმა მისი დატოვება მოახერხა.**

სროლა და ტერაქტები აფხაზეთისათვის უცხო არ არის. ხაჯიმბას წინამორბედი ალექსანდრე ანქვაბი მრავალჯერ გახდა თავდასხმის ობიექტი. ანქვაბი შარშან ივნისში აიძულეს, გადამდგარიყო. ქუჩის გამოსვლები შეწყდა, მაგრამ, მთლიანობაში, ამას აფხაზეთისათვის სიმშვიდე და სტაბილურობა არ მოუტანია.



საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, 2014 წლის აგვისტოში, ცეცხლსასროლი იარაღით დაიცხრილა „ნუჟნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორ იზიდა ჭანიას მანქანა. თავად რედაქტორმა განაცხადა, რომ მომხდარი უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, კერძოდ, მკვეთრ კრიტიკას პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატ ასლან ბჟანიას მიმართ. სხვათა შორის, ასლან ბჟანიას მიმართ ანტიპათიის გამოხატვას არჩევნებში მისი კონკურენტი რაულ ხაჯიმბაც არ ერიდებოდა.

იზიდა ჭანიას წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის კვალიფიკაცია მიეცა, საქმე კი ჯერ გამოძიებული არ არის.

იმავე წინასაარჩევნო დღეებს უკავშირდება ხელყუმბარის სროლა აფხაზეთის ცესკოს თავმჯდომარე ბატალ ტაბაღუას საცხოვრებელი სახლის ეზოში. ამის ჩამდენიც არ არის დადგენილი.

სამაგიეროდ, აფხაზურმა სპეცსამსახურებმა მანამდე ერთი წლით ადრე ოპერატიულად დაადგინეს თბილისში მცხოვრები რუსეთში დაბადებული ზურაბ თორაძის ვინაობა. მას აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მკვლელობის მზადება დაბრალდა. თორაძე დააკავეს.

რაულ ხაჯიმბას გაპრეზიდენტებას არაერთი საკადრო ცვლილება მოჰყვა. მან დაიწყო ალექსანდრე ანქვაბის კადრების მოშორება, განსაკუთრებით — ძალოვან სამინისტროებში. ერთი საკადრო ცვლილება 16 ივლისსაც განხორციელდა. ხაჯიმბას განკარგულებით, თანამდებობიდან გათავისუფლდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე ლავრენტი მიქვაბია. ეტყობა, ეს ცვლილება ჩუმად და უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა. ამიტომ აუცილებელი გახდა პრეზიდენტის პრესმდივნის ხიბლა ვოზბას საჯარო განმარტება.

— პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას თავდაცვის მინისტრის მოადგილე ლავრენტი მიქვაბიას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მიქვაბიამ დაარღვია დებულება სამხედრო პირის სტატუსის თაობაზე. დებულება კრძალავს სამხედროების მონაწილეობას პოლიტიკურ საქმიანობაში. გარდა ამისა, ლავრენტი მიქვაბიამ უგულებელყო აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანება, რაც სამხედრო წესდების უხეში დარღვევაა, — აღნიშნა ხაჯიმბას პრესმდივანმა.

რაულ ხაჯიმბა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ცუდი დამოკიდებულებით არა მარტო იქაური ქართველების, არამედ სომეხი მოსახლეობის მიმართაც. ამ დღეებში ხაჯიმბა აფხაზეთის სომეხთა კავშირის თავმჯდომარე ხაჩიკ მინოსიანს შეხვდა. მხარეებმა მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე ისაუბრეს.



— ჩვენი თანამოძმეები თავიანთ მომავალს აქ, აფხაზეთში ხედავენ. სომხური სათვისტომო მხოლოდ კეთილ საქმეებზეა ორიენტირებული, — დაარწმუნა ხაჯიმბა მინოსიანმა.

როგორც ჩანს, აფხაზეთში მხოლოდ გარეგნული სიმშვიდეა და შარშან დაწყებული პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც ანქვაბის წასვლა და ხაჯიმბას მოსვლა მოჰყვა, გრძელდება. სიტუაციას ძაბავს აფხაზი დეპუტატების რუსეთის საწინააღმდეგო გამოსვლები. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებას მშვიდ ვითარებაში მოეწერა ხელი, ახლა სოხუმში უკვე უკმაყოფილებაა და აფხაზეთის სუვერენიტეტის შელახვაზე დაიწყო საუბარი. ამას ემატება კლანური უთანხმოებები და ფინანსური პრობლემები.

# გიუნტერ ბეხლერი: ქართველებს შეუძლიათ იამაყონ ბოლო წლების მიღწევებით“

**აგვისტოს შუა რიცხვებში შვეიცარიის ელჩის, გიუნტერ ბეხლერის მისია საქართველოში იწურება. შვეიცარიის ელჩმა ჩვენს ქვეყანაში ხუთი წელი გაატარა, რომლის განმავლობაშიც საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. საქართველოში გატარებულ წლებს გიუნტერ ბეხლერი „ინტერპრესნიუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აფასებს.**

***— რამდენიმე დღის წინ რუსეთის საოკუპაციო ძალებმა უკანონოდ განათავსეს ბანერები ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარზე გორის რაიონის სოფელ წითელუბნის და ოკუპირებული ახალგორის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე. რას იტყოდით, რუსეთის ამ მორიგი უკანონო ნაბიჯის შესახებ?***

— საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ორი დღის წინ დიპლომატიური კორპუსს აცნობა შექმნილი ვითარების თაობაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ შევძელით თქვენს მიერ ნახსენებ ადგილების ადგილზე მონახულება, რათა ვითარება სწორად შეგვეფასებინა. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის გაუმჯობესებული ურთიერთობებისა და საკმაოდ წარმატებული ჟენევის მოლაპარაკებების 32-ე რაუნდის შემდეგ, არავინ მოელოდა ასეთ ნაბიჯს. ამ ნაბიჯის შემდეგ კი ჩვეულებრივი ადამიანები, განსაკუთრებით კი გლეხები საკმაოდ რთულ ვითარებაში მოექცნენ. მსგავსი საკითხების მოგვარებისთვის უამრავი მექანიზმი არსებობს: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმები და შვეიცარიის სერვისები, რომელიც წარმოადგენს რუსეთის ინტერესებს საქართველოში და პირიქით.

***— თქვენი შეფასებით, რა მექანიზმებით უნდა გაუმკლავდეს საქართველო კონფლიქტებს?***

— ვფიქრობ, საქართველოს არ სჭირდება გარე მხარის რჩევები. როგორც დიპლომატი, მჭიდრო კავშირში ვარ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს მთავრობის სხვა უწყებებთან. შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს მთავრობა ძალიან დაინტერესებულია ვითარების გაუმჯობესებით, რათა საქართველოშიც და საქართველოს გარშემოც უფრო მეტ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას მიაღწიოს. ქართული დიპლომატია ბევრს მუშაობს, რათა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები უფრო წარმატებული გახდეს და კონსტრუქციულად ჩაერთოდ აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან. ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები მხარს უჭერენ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც პრობლემის ერთობლივ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანს. მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის, საზოგადოების, ჯანდაცვისა და სხვა საკითხების შესახებ ექსპერტთა მიერ სემინარების ორგანიზება და ასე შემდეგ.

***— როგორ შეაფასებთ თქვენს ხუთწლიან საქმიანობას საქართველოში როგორც შვეიცარიის ელჩი?***

— თუ 360 გრადუსით შევაფასებთ, გეტყვით, რომ ჩემი მისია უკიდურესად საინტერესო, ღირებული, წარმატებული და სასიამოვნო იყო. ეს ხუთი წელი ძალიან მალე გავიდა, რადგან უამრავ აქტივობაში ვიყავი ჩართული როგორც დიპლომატიური, პროფესიულ დონეზე, ასევე კერძო ხასიათის. რამდენიმე მათგანს გამოვყოფ — საელჩომ თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყნებს შორის ბიზნეს კავშირების დამყარებაში, შუამავლობა რუსეთსა და საქართველოს შორის შეთანხმებაზე რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღებასთან დაკავშირებით, აქტიურად ვუჭერთ მხარს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და დემოკრატიული პროცესების გაღრმავებას საქართველოში. ჩემი აკადემიური ბექგრაუნდის გათვალისწინებით, მე ასევე ჩართული ვიყავი თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლაში, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასა და თბილისის სხვა უამრავ უნივერსიტეტებში. ბევრი კუთხით, საქართველო არა არის „ნორმალური“ ადგილი ელჩისთვის. ხალხთან ურთიერთობა, როგორც პროფესიულ, ისე კერძო დონეზე იყო და არის განსაკუთრებული. ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო იყო ჩემს აქაურ კოლეგებთან , პარტნიორებთან და მეგობრებთან ურთიერთობა. მე ბევრი ვისწავლე აქ, თუ რა არის მნიშვნელოვანი და რა — არა. გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში ადამიანური ურთიერთობები ყველაფრის ხერხემალია და ეს ძალიან მომწონს.

***— როგორც წესი, სხვა ქვეყნის ელჩების მანდატი 3-4 წელი გრძელდება, თუმცა თქვენს შემთხვევაში მანდატი ხუთი წლის განმავლობაში გაგრძელდა. რა იყო ამის მიზეზი?***

— როგორც წესი, შვეიცარიელი დიპლომატები ოთხი წლის განმავლობაში მსახურობენ. ჩემს შემთხვევაში, ბევრი საკითხი დაგროვდა, რის გამოც სათავო უწყებამ კიდევ ერთი წლით მთხოვა ვადის გაგრძელება. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო შვეიცარიის თავმჯდომარეობა ეუთო-ში.

***— საქართველოში გატარებული ხუთ წელს რომ გადაავლოთ თვალი, რომელ სამ მნიშვნელოვან საკითხს გამოყოფდით?***

— პირველ რიგში, ეს იყო 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები. მე ვიტყოდი, ეს იყო ისტორიული არჩევნები, რადგან პირველად მოხდა მთავრობის დემოკრატიული გზით შეცვლა. წინასაარჩევნო და საარჩევნო კამპანიას სრულიად დიპლომატიური კორპუსი ადევნებდა თვალს და პირდაპირ გადავცემდით ჩვენს მთავარ უწყებებს. არჩევნების დროს დამკვირვებელიც კი ვიყავი და სხვადასხვა საარჩევნო უბნებზე ვიყავი. ასევე ვესწრებოდი ბიულეტენების დათვლის პროცესს გაკეში, ერთ-ერთ სკოლაში. ვფიქრობ, ეს იყო გამჭვირვალე პროცესი ყველა დონეზე პროფესიონალი თანამშრომლებით დაკომპლექტებული. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო რუსეთსა და საქართველოს შორის შუამავლობა 2011 წელს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. იმ დროს ძალიან ცოტას სჯეროდა, რომ ჩვენ მივაღწევდით შეთანხმებას. და მესამე, ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის ძალიან ღირებულია ჩემს რეზიდენციაში გამართული რეგულარული თემატური მიღებები. კერძოდ, ჟენევის თანათავმჯდომარეთა სადილები იყო ძალიან საინტერესო და ბევრის მიმცემი მონაწილესათვის.

***— როგორ შეაფასებთ საქართველოს განვითარებას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში — რაც შეიცვალა და რა — არა?***



გიუნტერ ბეხლერი

— ჩემი აზრით, თავისუფლების კუთხით ბევრი რამ შეიცვალა საზოგადოებაში, პოლიტიკაში, მედიაში და ადამიანებს შორის კომუნიკაციაშიც კი. ქუჩებში, უნივერსიტეტებში, კაფეებსა და რესტორნებში ახალგაზრდებს რომ ვაკვირდები, პირველი, რაც აზრად მომდის არის, რომ ღია და თავისუფალ ქვეყანაში ვარ. ამავდროულად, საქართველოში ღრმა და ყოფლისმომცველი რეფორმების მოწმე ვიყავი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და მართლაც აღფრთოვანების ღირსია ინსტიტუციების შენების პროცესი. ყველა ამ მიღწევისთვის მინდა საქართველოსა და ქართველებს მივულოცო. რაც შეეხება იმას, თუ რა არ შეიცვალა, ეს სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა, ხალხის უმრავლესობა კვლავ უმუშევარია, აქვს დაბალი შემოსავალი და ნაკლები შესაძლებლობები უკეთესი ცხოვრებისთვის. მე მხარს ვუჭერ პრემიერ მინისტრის ამასწინანდელ განცხადებას, რომელმაც შეშფოთება გამოთქვა სოფლებში არსებულ სიღარიბესთან დაკავშირებით. თუმცა, ამის მოგვარება არ არის მარტივი. მიუხედავად ამისა, ეკონომიკურ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რომელიც გარე შოკებთანაც არის დაკავშირებული, არსებობს სტრატეგიული მიდგომები — სოფლის მეურნეობის ახალ პროგრამებსა და ინსტრუმენტებს პოზიტიური გავლენა აქვს სოფლებში მცხოვრებლებზე, რომლებიც ძირითადად ფერმერობაზე არიან დამოკიდებული. გარდა ამისა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას უკვე აქვს შედეგები, როგორც ამას სტატისტიკის სამსახური გვიჩვენებს. მაგრამ ქართველები თავად უნდა იყვნენ ოპტიმისტები და ბევრი იმუშაონ, რათა არსებული შესაძლებლობები და ღია ფანჯრები სწორად გამოიყენონ.

***— რა ცვლილებების გატარება სჭირდება საქართველოს?***

— მნიშვნელოვანია გარეუბნებში ვითარების შესწავლა და სწორი დასკვნების გაკეთება. უფრო პროდუქტიულ სოფლის მეურნეობაზე დაყრდნობა, სოფლის მეურნეობის სექტორის შემოსავლების ზრდა კიდევ ერთი ელემენტია, რომელიც ასევე მოიცავს: მომსახურებას, პროდუქტის წარმოებას, ტრანსპორტს, საწყობებს, მარკეტინგს, ექსპორტის ხელშეწყობას და იმპორტის ჩანაცვლებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას. ასევე მნიშვნელოვანია ძლიერი საბანკო სექტორი და სოფლის მეურნეობის სფეროში კრედიტების ხელმისაწვდომობა. შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო სწორ გზას ადგას.

***— როგორც საქართველოში ხუთი წლის განმავლობაში მცხოვრები ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, ყველაზე მეტად რითი ხართ კმაყოფილი?***

— საქართველოში ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე არა მხოლოდ პროფესიულ სფეროში, არამედ სხვადასხვა სფეროებში მოღვაწე ადამიანებს შორის, მათ შორის არტისტები, ფერმერები, მთამსვლელები და სოფლის უბრალო მცხოვრებლები. არადროს დამავიწყდება ჩვენი ექსკურსიები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. შემიძლია ვთქვა, რომ თუშეთი ჩემთვის პატარა სამოთხე და სასწაულია. ასე რომ, მიუხედავად ზოგჯერ არეული ცხოვრებისა, ვცდილობდი სიამოვნება მეპოვა საცეკვაო წარმოდგენებში, ლიტერატურულ საღამოებში, კლასიკური მუსიკოს კონცერტებსა და განსაკუთრებით ჯაზ-კონცერტებზე.

***— ყველაზე მეტად რა არ მოგწონდათ საქართველოში ყოფნისას?***

— თბილისში შექმნილი საცობები, რომელსაც შეიძლება ითქვას, უკვე შევეგუე და გავითავისე კიდეც. თუმცა, ასე, რომ შვეიცარიაში მოვიქცე, პოლიცია აუცილებლად დამაჯარიმებს. გარდა ამისა, ძალიან გამაღიზიანებელია ღამით ქუჩებში ხმაური და გარემოს დაბინძურება პოლიეთილენის პარკებითა და სხვა სახით ნაგვით.

***— რას ეტყოდით თქვენს შემცვლელს, შვეიცარიის მომავალ ელჩს საქართველოში?***

— გააგრძელოს იმის კეთებას, რასაც მე ვაკეთებდი.

მარი ჯავახიშვილი
„ინტერპრესნიუსი“

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ტურისტული სეზონი ჩავარდა?



**„მხოლოდ აგვისტოს იმედად ვრჩებით“ , აცხადებენ კერძო სასტუმროების მფლობელები**

— წვიმებისა და უამინდობის გამო აჭარაში ტურისტების ნაკლებობაა, ასეთი ცუდი სეზონი 2008 წლის შემდეგ არ გვქონია, — აცხადებენ ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებსაც შიში აქვთ, რომ წლევანდელი ზაფხული მათთვის წამგებიანი იქნება. ბიპიენი ამ სექტორის წარმომადგენლებს ესაუბრა.

**თამაზ გოგიბერიძე, ქობულეთის საოჯახო სასტუმრო „ფიჭვნარის“ მფლობელი:**

— მთელ აჭარაში წვიმს და გრილი ამინდია, თითქმის ყოველდღეა ჭექა-ქუხილი, რაც ძალიან გვაბრკოლებს. დამსვენებლებს მზე და გარუჯვა სურთ, თორემ წვიმა ვის უხარია? ამიტომ, ჩვენს ქალაქში დამსვენებლების ნაკლებობა იგრძნობა.

სეზონის დაწყებამდე მოსახლეობამ გაარემონტა და გაალამაზა თავისი სასტუმროები, რაშიც სოლიდური თანხა დახარჯა. ვცდილობთ ტურისტებს ღირსეულად დავხვდეთ, მაგრამ მათი რიცხვი წელს აშკარად შემცირებულია: დამსვენებლები ინტერნეტით იგებენ, რომ აქ ცუდი ამინდებია და არ ჩამოდიან. ანალოგიური სიტუაციაა მთელ აჭარაში.

თამაზ გოგიბერიძის შეფასებით, შარშანდელი სეზონი ქობულეთისთვის გაცილებით შემოსავლიანი იყო:

— შარშან ამინდმაც ხელი შეგვიწყო და სხვა ფაქტორებმაც, ამიტომ ამ დროს უკვე 15 ათასი ლარი მქონდა მიღებული, წელს კი მხოლოდ ათასი ლარი მაქვს. იმდენად ცხელოდა, რომ ექიმები ხალხს მოუწოდებდნენ, თბილისი დაეტოვებინათ. ამიტომ, ძალიან ბევრი სტუმარი ჩამოვიდა აჭარაში. ერთი-ორი ოჯახი წელს უკრაინიდანაც მყავდა, რუსეთიდანაც, მაგრამ ეს თითქმის არაფერს ნიშნავს. 10-15 ლარი ღირს ერთი ადგილი მაშინ, როცა შარშან 20 ლარი ღირდა და ტურისტებით გადავსებული იყო აქაურობა. არადა, დიდი ფული დავხარჯეთ რემონტზე და ოთახების კეთილმოწყობაზე.

განსაკუთრებით იმ 70 ოჯახს გაურთულდა მდგომარეობა, რომელსაც ბანკის ვალი აქვს. სესხების რესტრუქტურიზაციაზე მათ ყველა ბანკმა უარი უთხრა. სეზონის ჩავარდნა ამ ადამიანებს კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვება.

ბათუმის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი კირთაძეც აცხადებს, რომ ტურისტების რაოდენობა ბათუმშიც შემცირებულია, მაგრამ ეს მხოლოდ ამინდის ბრალი არ არის.

— კერძო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებით, გასული თვე ანუ ივნისი 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ყველაზე ცუდი იყო. ჩემი აზრით, ეს იმის ბრალია, რომ ჩვენმა ქალაქმა წლევანდელ სეზონზე ვერანაირი სიახლე ვერ შესთავაზა ტურისტებს, ამავე დროს, ეკონომიკურმა მდგომარეობამაც ითამაშა გარკვეული როლი: ლარის კურსის დაცემის გამო ძალიან ბევრ ადამიანს აღარ აქვს იმის საშუალება, რომ აქ ჩამოვიდეს და დაისვენოს, — განაცხადა გიორგი კირთაძემ.

მისი თქმით, დეკემბერში ბათუმის სასტუმროებში ადგილი არ იყო.

— ეს იმიტომ, რომ ბათუმი ჩამოსულ სტუმრებს საინტერესო ღონისძიებებს სთავაზობდა. თუ მხოლოდ ბუნების იმედზე ვიქნებით, ვერაფერს მოვიგებთ. ბათუმში სტუმარი ყოველთვის ჩამოვა, მაგრამ თუ რაღაც სიახლე არ შევთავაზეთ, ტურისტების რაოდენობა არ გაიზრდება, ეს კი ძალიან ცუდია, რადგან მოსახლეობას უჭირს და ტურისტულ სეზონზე მიღებული შემოსავლის იმედზეა, — უთხრა ბიპიენს გიორგი კირთაძემ.

**შემოსავლის შემცირებას უჩივიან ტურისტული სააგენტოებიც, მათ შორის, კომპანია „უოლქერის“ ხელმძღვანელი შალვა ციკოლია:**

ივნისში სეზონი ლამის ჩავარდა, რამაც ტურიზმსაც სერიოზული დარტყმა მიაყენა და ტურისტული სააგენტოების შემოსავალზეც ძალიან იმოქმედა. ჩავარდნა შეინიშნება არა მხოლოდ შიდა ტურიზმში, სხვა ქვეყნებიდან შემოსული სტუმრების რაოდენობამაც იკლო.

ციკოლიას თქმით , ივნისში ხალხმა დაჯავშნილი ნომრებიც კი გააუქმა. ეს გამოიწვია არამარტო უამინდობამ, არამედ 13 ივნისს თბილისში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ. ეს ამბები ყველგან დაწვრილებით გაშუქდა და უცხოელი ტურისტების შემოსვლაზე ძალიან იმოქმედა. ამასთანავე, თბილისშიც შოკური მდგომარეობა იყო, ხალხი შეშინებული იყო და დასვენებაზე არც კი ფიქრობდა, ამიტომ შიდა ტურებიც ჩავარდა.

— რაც შეეხება საქართველოდან გასვლას, ამაზე დოლარის კურსის შეცვლამ იმოქმედა. ქვეყნის შიგნით დასვენებაც კარგია, მაგრამ აჭარაში ახლა ისეთი ამინდებია, ზღვაზე ვერავინ გადის. ამ სიტუაციამ თითქმის ყველა ტურისტულ კომპანიას დაარტყა, თუმცა ყველაზე მეტად — შედარებით მცირე კომპანიებს. იმედი გვაქვს, რომ აგვისტო უკეთესი იქნება, თუმცა შარშანდელ სეზონს მაინც ვერ დავეწევით: შარშან ამინდიც კარგი იყო, დოლარის კურსიც მისაღები და ამდენი ხელისშემშლელი ფაქტორიც არ გვქონდა, — განაცხადა შალვა ციკოლიამ.

— უამინდობამ შიდა ტურიზმზე აშკარად იმოქმედა, მაგრამ მდგომარეობა არც ისე საგანგაშოა, — უთხრა ბიპიენს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწემ სოფიკო გუჯაბიძემ.

ის ამბობს, რომ დამსვენებელთა დიდი მატება არ შეინიშნება, მაგრამ კლებაც არ არის.

— რა თქმა უნდა, წვიმაში ტურისტი გარეთ არ გამოდის, მაგრამ კვების ობიექტები სავსეა, საღამოობით ზოგან ადგილიც კი არ არის. ისე კი, უამინდობამ შიდა ტურებზე აშკარად იმოქმედა იმიტომ, რომ ადამიანი ჯერ ამინდის პროგნოზს შეხედავს და მერე გადაწყვეტს, წავიდეს დასასვენებლად, თუ არა. ამიტომ, წვიმა ჩვენს საქმიანობაზე დადებითად ნამდვილად არ მოქმედებს, — ასე ფიქრობს სოფიკო გუჯაბიძე.

მისი თქმით, ბოლო ერთ წელიწადში აჭარაში ძალიან ბევრი დიდი სასტუმრო გაიხსნა, რომლებიც დამსვენებლებს დაახლოებით იმ ფასად ემსახურებიან, რა ფასადაც კერძო და საოჯახო ტიპის სასტუმროები. ამ სფეროში კონკურენცია ძალიან მაღალია. არჩევანი დიდია, ამიტომ, შეიძლება მცირე სასტუმროებს იმდენი კლიენტი აღარ ჰყავდეთ, რამდენიც შარშან ჰყავდათ.

— ჩვენ ხელთა გვაქვს იანვარ-ივნისის მონაცემები, რომლებიც რეგისტრირებულმა სასტუმროებმა მოგვაწოდეს. ამ მონაცემების მიხედვით, წელს ვიზიტორების რაოდენობა 2%-ით არის მომატებული შარშანდელთან შედარებით, ასე რომ, მთლიანობაში საგანგაშო მდგომარეობა სულაც არ გვაქვს, — აცხადებს სოფიკო გუჯაბიძე.

ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი

# რამაზ გერლიანი: ის, რაც საბერძნეთში მოხდა, ჩვენ არ გვემუქრება“





**რატომ გაიზარდა საქართველოს საგარეო ვალი**

საბერძნეთში მიმდინარე მოვლენებმა მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ დაარწმუნა, თუ რა შეიძლება მოუტანოს ქვეყანას ვალის არასწორმა განკარგვამ. ამის გამო შეიძლება სახელმწიფო ეკონომიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდეს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, ვუძღვებით თუ არა ვალს, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს აქვს აღებული?

როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა, ლაშა თორდიამ, მედიასთან საუბრისას აღნიშნა, „ჩვენი სახელმწიფო ვალი 13 მილიარდ 780 მილიონ ლარს აღწევს, მასში უნდა იყოს ასახული პირობითი ვალიც, რომელიც 833 მილიონი დოლარია“.

თორდიას განმარტებით, კანონით დადგენილია, რომ საგარეო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნა 50%-ია, ხოლო 2013 წელს მოქმედი მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით, ეს პროცენტული მაჩვენებელი 40%-ს შეადგენს. საგარეო ვალი კი მშპ-სთან შეფარდებით უკვე 44%-ია.

რამდენად შემაშფოთებელია ეს მონაცემები? ამ შეკითხვით ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის ხელმძღვანელს — რამაზ გერლიანს მივმართეთ.

**რამაზ გერლიანი:**

— ეს არის მთლიანი ვალი — საგარეო და შიდა ვალთან, ასევე ე.წ. პირობით ვალთან ერთად. დღეს ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენი სახელმწიფოს ვალი შეშფოთების საგანი გახდეს, თუმცა თავის დროზე, როდესაც ამ ვალებს იღებდნენ, კარგი იქნებოდა, ეს თანხები უფრო ეფექტიანად გამოეყენებინათ. მართალია, მშპ-ის მიმართ საერთო სახელმწიფო საგარეო ვალი გაიზარდა და 44%-ს მიაღწია, მაგრამ ეს ზრდა სულაც არ არის გამოწვეული ვალების აღებით. ამის მთავარი მიზეზი ლარის კურსის ცვლილებაა. 2013 წელს სახელმწიფო საგარეო ვალი შეადგენდა 4 მილიარდ 220 მილიონ დოლარს, 2014 წლის დეკემბერში — 4 მილიარდ 199 მილიონს, ხოლო 2015 წლის 30 ივნისის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საგარეო ვალი დოლარში შეადგენს 4 მილიარდ 180 მილიონს ანუ წინა წლებთან შედარებით ნაკლებს.

***— მიუხედავად ამისა, ოპონენტები ვალის ზრდაზე საუბრობენ.***

— ეს იმიტომ, რომ ლარის კურსის გაუფასურებამ საგარეო ვალის მოცულობა ძალიან გაგვიზარდა: 2014 წლის ბოლოს ლარში ჩვენი სახელმწიფოს საგარეო ვალი შეადგენდა 7 მილიარდ 826 მილიონს, ხოლო 30 ივნისის მდგომარეობით, 9 მილიარდ 399 მილიონ ლარს. ამას ემატება ეროვნული ბანკის ვალი, შიდა ვალიც და საბოლოო ჯამში იმ ნიშნულს აღწევს, რაც აუდიტის სამსახურმა დაასახელა ანუ 13 მილიარდ ლარზე მეტს. შიდა ვალის მოცულობა აქ შედარებით მცირეა და შეადგენს დაახლოებით 2 მილიარდ 184 მილიონს, თუმცა საგარეო ვალი, ლარის კურსის გაუფასურების გამო, განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს.

***— რა შეიძლება ითქვას იმაზე, რომ სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-ის მიმართ 44%-ია, ანუ უკვე გადააჭარბა კანონმდებლობით განსაზღვრულ მაჩვენებელს?***

— ეს მატებაც კურსთა შორის სხვაობამ გამოიწვია. მაშინაც, როდესაც ჩვენი საგარეო ვალი 35%-ის ფარგლებში იყო, ანუ ნორმალურ პარამეტრებში რჩებოდა, რეალურად ეს იმით იყო განპირობებული, რომ ლარის კურსი სულ სხვა იყო, თუმცა მაშინაც და ახლაც საგარეო ვალის შეფარდება ექსპორტთან სავალალო იყო და ამ მხრივ რთული მდგომარეობა გვაქვს. სამწუხაროდ, ჩვენი ექსპორტის მოცულობა საგრძნობლად არის შემცირებული, მარტო მშპ-სთან შედარება არაფერს ნიშნავს. ჩვენისთანა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ვალის შეფარდება ექსპორტთან — ეს მაჩვენებელი ადრეც მაღალი იყო, კურსთა შორის სხვაობამ კი სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა.

თუ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა არ გაიზრდება და ხაზინაში სახსრები ამ გზით არ იქნება მობილიზებული, ვალის მომსახურება მძიმე ტვირთად დააწვება ჩვენს ბიუჯეტს და ხაზინას, თუმცა ახლაც მძიმე ტვირთად აწევს. ვალის მომსახურების პერიოდი დაიწყო 2013 წლიდან, ეს პროცესი პერმანენტულად გრძელდება და ჩვენი ბიუჯეტის თითქმის 10%-ს შეადგენს. ეს ჩვენთვის სერიოზული ფინანსური დანახარჯია.

***— სხვა პარამეტრებსაც თუ გავითვალისწინებთ, რა მდგომარეობა გვაქვს?***

— სამწუხაროდ, სხვა პარამეტრების მიხედვით სახარბიელო მდგომარეობა არც ადრე გვქონია და არც ახლა გვაქვს: ხშირად მოჰყავთ იაპონიის მაგალითი, რომელსაც მოსახლეობის ერთ სულზე გაცილებით მეტი ვალი აქვს, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ვალის ექსპორტთან მიმართებაში იაპონიის მდგომარეობა სულ სხვაა. ამიტომ, ამ პარამეტრებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ და არა — მხოლოდ ვალის მშპ-სთან მიმართებით. მით უმეტეს, რომ მთლიანდ ქვეყნის ვალი უფრო მეტია იმიტომ, რომ ვალდებულებები აქვს აღებული ბიზნესსექტორსაც, გვაქვს ისტორიული ვალებიც და ეს ვალდებულებები ადრე თუ გვიან მაინც დაგვაწვება.

***— დაბოლოს, ყველამ იცის, რა მდგომარეობაში ჩავარდა საბერძნეთი ვალების გამო. მსგავსი რამ ჩვენც ხომ არ გვემუქრება?***

— ჩვენ ეს არ გვემუქრება თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ვალდებულებები საბერძნეთთან შედარებით დაახლოებით ასჯერ ნაკლებია. საბერძნეთი ამ დონემდე მცდარმა პოლიტიკამ მიიყვანა. ვალი ეფექტიანად უნდა დაიხარჯოს და მისგან ეკონომიკური უკუგება უნდა მივიღოთ, საბერძნეთი კი ძველი ვალების დასაფარად ახალ ვალს იღებდა და ამ თანხას სოციალურ პროექტებზე ხარჯავდა. ეს კარგი მაგალითია ჩვენთვის და სხვა ქვეყნებისთვისაც იმის საჩვენებლად, როგორ არ უნდა მოვიქცეთ.

ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი

# კახა ოქრიაშვილი: წამლების გაყიდვა შემცირდა“

მედიკამენტების ექსპორტი საქართველოდან იანვარ-მაისში გასულ წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა და 49 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

უცხოეთში წამლების რეალიზაცია ბოლო პერიოდში სულ უფრო იზრდება — 2013 წელს მისმა მოცულობამ 52 მილიონი დოლარი, 2014 წელს კი 92 მილიონი დოლარი შეადგინა. საბოლოოდ კი საექსპორტო პროდუქციათა ათეულში მეხუთე ადგილი დაიკავა.

როგორც ფარმაცევტული კომპანია „ჯი ემ პის“ დამფუძნებელმა და დეპუტატმა კახა ოქრიაშვილმა ბიპიენს განუცხადა, მედიკამენტს საქართველოში რეალურად მხოლოდ მისი კომპანია აწარმოებს, რომლის ექსპორტმა შარშან 25 მილიონი დოლარი შეადგინა, დანარჩენს კი სხვა კომპანიები რეექსპორტზე მეზობელ ქვეყნებში ყიდიან, თუმცა, მათი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მაინც ხელშესახებია.

წამლის ინდუსტრიას საქართველოში სერიოზული პერსპექტივები აქვს.

— ჩვენი პროდუქცია 11 ქვეყანაში გაგვაქვს ექსპორტზე, ძირითადი ბაზარი კი უკრაინაა. სამწუხაროდ, ბოლო დროს გრივნის დევალვაციის გამო რეალიზაცია, ნაწილობრივ, შემცირდა, თუმცა, ჩემი კომპანიის მენეჯერები 2018 წლისთვის გეგმავენ, ექსპორტის მოცულობა 100 მილიონ დოლარამდე გაზარდონ, — აღნიშნა ოქრიაშვილმა.

ექსპორტის ზრდასთან ერთად, ორჯერ გაიზარდა მედიკამენტების იმპორტი და 262 მილიონ დოლარს მიაღწია. მან ნავთობპროდუქტებს გადაუსწრო და იმპორტირებულ პროდუქციათა ათეულში პირველ ადგილზე გავიდა. თუმცა, კახა ოქრიაშვილი მიიჩნევს, რომ ეს მცდარი ციფრია. — შეუძლებელია, ამხელა მაჩვენებელი ყოფილიყო, პირიქით, ლარის დევალვაციის გამო წამლების გაყიდვები შემცირდა, ფარმაცევტულ ქსელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ფასების შენარჩუნებისთვის, — აღნიშნა დეპუტატმა.

ბელა ნოზაძე, ბიპიენი



# შსს-ს ექსპერტ-კრიმინალისტებს ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროს ექსპერტებმა სერტიფიკატები გადასცეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, შსს-ს საექსპერტო მთავარი სამმართველოს ექსპერტ-კრიმინალისტებისთვის სერტიფიკატების გადაცემა გაიმართა. ექსპერტ-კრიმინალისტებმა გაიარეს სწავლება სახელწოდებით „შემთხვევის ადგილის დათვალიერების ზოგადი კურსი“. ხუთდღიან ტრენინგში საქართველოს მასშტაბით მომუშავე ოცმა ექსპერტ-კრიმინალისტმა მიიღო მონაწილეობა. ტრენინგი აშშ-ს საელჩოს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) პროგრამის ორგანიზებით ჩატარდა.

ტრენინგი აშშ-ს ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროს ექსპერტებმა ჩაატარეს. ქართველმა ექსპერტ-კრიმინალისტებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია ნივთმტკიცებათა აღმოჩენის, დაფიქსირების და ამოღების, შემთხვევის ადგილის დაცვის კუთხით. სწავლების ფარგლებში, გაიმართა ფეხსაცმლის და საბურავის კვალის ამოღების მეთოდების შესწავლაც. ექსპერტები ასევე გაეცნენ კრიმინალისტიკის თანამედროვე ტექნოლოგიებს. ტრენინგის მსვლელობისას გაიმართა სწავლება „შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირება“.



შსს-ს საექსპერტო მთავარი სამმართველო აშშ-ს ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროსთან აქტიურად თანამშრომლობს და ქართველი კრიმინალისტები მსგავს სწავლებებში და გაცვლით პროგრამებში პერმანენტულად მონაწილეობენ.

# არჩილ ხაბაძეს უცხოელ ინვესტორებზე ზეწოლაში ადანაშაულებენ





აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე უცხოელ ინვესტორებზე ზეწოლას ახდენს.

ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა „ბიზნეს ბათუმი“ ავრცელებს.

საქმე ზღვისპირა ქალაქში არსებულ ორ მსხვილ ინვესტიციას — გოგებაშვილის ქუჩაზე აზერბაიჯანული ინვესტიციით სასტუმრო „კუბ თაუერისა“ და დუმბაძის ქუჩაზე თურქული ინვესტიციით სასტუმრო „რეინას“ მშენებლობას ეხება.

გამოცემის ინფორმაციით, თურქი და აზერბაიჯანელი ინვესტორები აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ დაიბარა და განუცხადა, რომ ისინი მშენებლობის ნებართვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუ „კუბ თაუერის“ მშენებლობას მათ მიერ რეკომენდაციაგაწეული კომპანია „ანაგი“, ხოლო სასტუმრო „რეინას“ მშენებლობას კი ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის სამშენებლო კომპანია „ატუ“ განახორციელებდნენ.

კომპანია „ანაგის“ ხელმძღვანელი ყოფილი ნაციონალი, ამჟამად არჩილ ხაბაძის „ბიზნესკლუბის“ წევრი, აჭარის მთავრობის პრივილეგირებული ბიზნესმენი, ზაზა გოგოტიშვილია.

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ბათუმში „კუბ თაუერის“ მშენებლობა იწყება. ამის შესახებ სასტუმროს მშენებელი კომპანია „ადოგ ჯორჯიას“ დირექტორმა მიხეილ ძოძუაშვილმა განაცხადა, სამშენებლო სამუშაოები კი დაახლოებით ათ დღეში დაიწყება. „ადოგ ჯორჯიამ“ ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებით ხელშეკრულებას ხელი სწორედ სამშენებლო კომპანიასთან „ანაგი“ მოაწერა.

პროექტის განსახორციელებლად მინიმუმ 30 მილიონი დოლარი დაიხარჯება, მისი მშენებლობა კი სავარაუდოდ, 2017 წელს დასრულდება. „კუბ თაუერში“ შვეიცარიული სასტუმროების ბრენდი, „სვისბელი“ შემოდის. სასტუმრო 30 სართულიანი იქნება, სადაც დაახლოებით 186 ნომერი განთავსდება, ერთ-ერთ კუბიკში კი ტერასული ტიპის საცურაო აუზი მოეწყობა.

ბათუმში „ადოგ ჯორჯია“ 2011 წელს დაფუძნდა, მისი ცენტრალური ოფისი კი ბაქოში მდებარეობს. ძოძუაშვილი ადასტურებს ინფორმაციას, რომ 2011 წელს კომპანიას 1.621 კვადრატული მიწის ნაკვეთი 1 ლარად გადაეცა. აღებული ვალდებულების მიხედვით, ინვესტორს 22 სართულიანი სასტუმრო კომპლექსი „კუბიკ თაუერი“ უნდა აეშენებინა.

რაც შეეხება სასტუმროს „რეინა“, ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე, ყოფილი №1 აფთიაქის შენობაში განთავსდება.

კომპანია „ჟულიენმა“ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე შენობა 2011 წელს შეიძინა. შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული და ამ ეტაპზე კომპანია მშენებლობის ნებართვას ელოდება. ყოფილი აფთიაქის შენობაში სასტუმრო ბრენდი „რეინა“ აშენდება.

როგორც კომპანიის იურისტი, დავით ჯანიანი აცხადებს, მშენებლობის ნებართვის აღებისთანავე კომპანია შენობის რეაბილიტაციას დაიწყებს, თუმცა აღებული ვალდებულების მიხედვით, ძეგლს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი არ ჩამოერთმევა.

— კანონის მიხედვით შენარჩუნდება შენობის იერ-სახე და აღსდგება მისი ძველი ფასადი. არ მოხდება მისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის ჩამორთმევა, სასტუმროს მშენებლობა მას შემდეგ დაიწყება, რაც მოხდება სამშენებლო ნებართვის გაცემა, — ამბობს დავით ჯანიანი.

პროექტის ინვესტიციის მოცულობა 15 მილიონი დოლარია. მშენებლობა 2017 წელს უნდა დასრულდეს, თუმცა მშენებლობა ჯერ დაწყებულიც კი არ არის.

„კომერსანტი“ ცდილობს აღნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით აჭარის მთავრობისგან კომენტარის მოპოვებას.

მარიამ გეგეჭკორი, კომერსანტ.გე

## მედიცინა



# პროპოლისი სიმსივნის წინააღმდეგ

ლიტერატურული წყაროების თანახმად, პროპოლისი ოდითგანვე ძვირფასი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. მას აქვს ანტისეპტიკური, ანტიბაქტერიული თვისებები. კვლევებმა დაადგინა, პროპოლისი თავისი შემადგენლობით ბუნებრივი ანტიბიოტიკია, მას კიბოსაწინააღმდეგო თვისებებიც აქვს.



გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, თუ როგორ უნდა მიიღოთ პროპოლისი:

ერთდროულად მიიღეთ პროპოლისის 20%-იანი სპირტიანი ნაყენი 40-40 წვეთი 12 ჭიქა თბილ, გადადუღებულ წყალთან ერთად, 3-ჯერ დღეში, 3 თვის განმავლობაში, ასევე ყოველდღიურად 3-3 გრამი გასუფთავებული პროპოლისის გულმოდგინედ დაღეჭეთ და გადაყლაპეთ, 3-ჯერ დღეში, 1,5 თვის განმავლობაში.

მკურნალობის დროს უნდა გამოირიცხოს საკვებიდან ხორცი და თევზი. იკვებეთ რძის პროდუქტებით, ხილითა და ბოსტნეულით. ყოველდღიურად მიიღეთვ თითო ჩაის კოვზი ნატურალური თაფლი 2-3-ჯერ დღეში და სვით ჭარხლის წვენი ნახევარ-ნახევარი ჭიქა 3-ჯერ დღეში, 30-40 დღის განმავლობაში.

მკურნალობაში ეხმარება ოროვანდის ძირების 10%-იანი ნაყენის (თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში) მიღება, ან 1 სუფრის კოვზი ოროვანდის დაქუცმაცებულ ძირებს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე, ვადუღოთ 30 წუთი, შევფუთოთ და დავაყენოთ 1 სთ, გავწუროთ, მივიღოთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა 4-5-ჯერ დღეში. შეიძლება ვსვათ, როგორც ჩაის, ოროვანდის ყვავილედის ნახარში (დავაყენოთ 1 ჭიქა მდუღარზე 8-10 გამხმარი ყვავილი).



კომპლექსურ მკურნალობაში ეფექტურია კაკლის წენგოც.

წენგოს სიროფის მომზადების წესი: დაქუცმაცებული კაკლის წენგო (უნდა შეგროვდეს მომწიფებამდე 1 თვით ადრე) მოვათავსოთ სამლიტრიან ქილაში, მოვამზადოთ 15%-იანი შაქრის სიროფი (2ლ), რომელიც აუცილებლად 10-12 წუთი უნდა ვადუღოთ და მდუღარე დავასხათ წენგოს. დავაყენოთ 3 დღე-ღამე, შემდეგ გავწუროთ, წამოვადუღოთ 10-15 წუთი და გავასტერილოთ.

ამ მკურნალობის ჩათავების შემდეგ სასარგებლოა ქრისტესისხლას ნაყენის მიღება: 1 ჩაის კოვზ ბალახს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე, დავაყენოთ 1 საათი, გავწუროთ და ვსვათ თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში, 2-3 თვის

პროპოლისს იღებენ ორ-ორ გრამს 3-ჯერ დღეში. დასაწყისში ღეჭავენ მას 15 წუთი, შემდეგ კი ყლაპავენ. ერთდროულად იღებენ მის 20%-იან სპირტიან ნაყენს 40-40 წვეთს 12 ჭიქა თბილ წყალზე 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30-40 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი — 3 თვე.

პარალელურად ეფექტურია ჭარხლის წვენი 12 ჭიქა 3-4 ჯერ დღეში, 1-1,5 თვის განმავლობაში.

არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთი მცენარე კიბოს უჯრედების ზრდას აჩერებს

1. ქრისტესისხლა — ნედლი მცენარე გაატარეთ ხორცსაკეპში და გამოწურეთ წვენი. დააკონსერვეთ იგი არაყით 1:1 და შეინახეთ ოთახის ტემპერატურაზე. სვით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, დააყოლეთ არყის ჭიქით წყალი.

2. ნაცარქათამას ფესვი (გადახრილი პეონი, იორდასალამი) — დააქუცმაცეთ 100 გრამი ფესვი და დაასხით 1 ლიტრი არაყი ან 75%-იანი სპირტი. სვით 0,5-1 ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, დააყოლეთ არყის ჭიქით წყალი.

3. თეთრი ფითრი — ნედლი მცენარე დააქუცმაცეთ, გაავსეთ ლიტრიანი ქილის 13 ქილა შეავსეთ არყის ბოლომდე. დააყენეთ 30 დღე, შემდეგ გაწურეთ და დარჩენილი მცენარე გამოწურეთ. სვით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, მიაყოლეთ წყალი.



ამ ბალახების ნაყენები მონაცვლეობით მიიღეთ ყოველ ერთ-ორ კვირაში ერთხელ. სასურველია, ერთ-ერთი წყლიანი ნაყენი ან წვენი მიიღოთ საღამოთი, ვახშმის წინ. მკურნალობის კურსია არა უმეტეს სამი თვისა. დაავადების ლიკვიდაციის შემდეგ სასურველია, სვათ ერთ-ერთი ნაყენი ერთხელ დღეში, ან რამდენიმე მცენარის ჩაი, გემოვნების მიხედვით.

ჩვეულებრივი ბრტყელეკალა — 2 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ბალახი ხარშეთ 5-7 წუთი 0,5 ლიტრ წყალში, გააცივეთ და გაწურეთ. სვით დღის განმავლობაში თანაბარი ულუფებით.

ბრტყელეკალას 3 დაფხვნილ ყვავილს დაასხით 0,4 ლიტრი მდუღარე წყალი, დააყენეთ 1 საათი, გაწურეთ. სვით ნახევარ-ნახევარი ჭიქა 4-ჯერ დღეში. 25-30 დღის განმავლობაში.

ჩვეულებრივი ბრტყელეკალას ნედლი ფოთლების წვენს სვამენ თითო ჩაის კოვზს 3-ჯერ დღეში 30 დღის განმავლობაში.

4. კაროტინული დიეტა — მის შემადგენლობაში შედის ხახვი, სტაფილო, ნიორი, ბულგარული წიწაკა, მჟაუნა, ასკილი, ღოლო, ისპანახი, ოხრახუში და სხვ. სტაფილო უმჯობესია მოთუთქული ან მოხარშული, ნებისმიერ ცხიმთან ერთად.

# შავი ბოლოკი ახალგაზრდობის წამალია



თაფლითა და შავი ბოლოკით მომზადებული ახალგაზრდობის ელექსირი

ამ ნაყენის რეგულარულად მიღების შემთხვევაში შესამჩნევად გაგიახლაგზრდავდებათ და გაგიმკვრივდებათ კანი, იქნებით მუდამ ენერგიული და არ მოიმატებთ წონაში.

1 ჭიქა სტაფილოს წვენს შეურიეთ ამავე რაოდენობის ჭარხლისა და შავი ბოლოკის წვენი. მიღებულ ნარევს დაუმატეთ ერთი ჭიქა თაფლი და 1 ლიტრი არაყი.

ნაყენი გადაიტანეთ მინის ჭურჭელში, დააფარეთ თავსახური და შეინახეთ 2 კვირა ბნელ ადგილას.

მიღების წესი: თითო სუფრის კოვზი ნაყენი დღეში 3-ჯერ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცარია და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2015, 18 — 19 ივლისი, №166

# რაფა ბენიტესი: მძულს, როცა „რეალს“ დაყოფილს ვხედავ“

**ბოლო დროს ბევრი მითქმა-მოთქმაა ატეხილი მადრიდის „რეალიდან“ იკერ კასილიასის წასვლის თაობაზე. „რეალის“ ახალი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი ამ და სხვა საკითხებზე საუბრობს.**





***— იკერ კასილიასმა მადრიდის „რეალი“ დატოვა.***

— კასილიასი კლუბის ისტორიის საუკეთესო მეკარე და ცოცხალი ლეგენდაა, რომელიც სამუდამოდ დარჩება მადრიდისტების გულში. ის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, მაგრამ წასვლა არჩია, მის გადაწყვეტილებას კი ყველამ პატივი უნდა სცეს.

მას შემდეგ, რაც „რეალის“ მთავარი მწვრთნელი გავხდი, პირველი ფეხბურთელი, რომელსაც მე დავურეკე, კასილიასი იყო. ფეხბურთელებს შორის ყველაზე მეტად მას ვესაუბრებოდი. ბოლოს დავსხედით, სადაც მითხრა თავისი გადაწყვეტილების შესახებ და ვიცოდი, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. მან დაგვტოვა და მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ,ვინაიდან ამ კლუბის ცოცხალი ლეგენდაა.

მძულს, როცა „რეალს“ დაყოფილს ვხედავ. არ მიყვარს, როცა ასეთ საკითხებზე არასაჭირო და უსაფუძვლო დებატები იმართება, რომლებიც უნდა დასრულდეს. ჩემი მოვალეობაა, ხალხს გავაგებინო, რომ „რეალს“ ერთადერთი რამ სჭირდება და ეს ერთიანობაა.

***— კრიშტიანუ რონალდუ გუნდს შეუერთდა. ისაუბრეთ?***

— თავისთავად. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით და საკუთარი მოსაზრებები გავაცანით, კრიშტიანუ გენიალური ფეხბურთელია, რომელსაც საუკეთესო ფეხბურთის ჩვენება შეუძლია.

***— სამეფო კლუბი ავსტრალიას პირველად ეწვია. კმაყოფილი ხართ პირობებით?***

— დიახ, აქ ნამდვილად ყველაფერია იმისათვის, რომ სრულფასოვანი პრესეზონი გვქონდეს. გუნდი ინტენსიურად ემზადება. აქ კარგი გარემო და კლიმატია. მოკლედ რომ ვთქვათ, პირობებზე საუბარი ზედმეტადაც კი მიმაჩნია, ყველაფერი უმაღლეს დონეზე დგას.

***— ამ დღეებში თითოეულ ფეხბურთელს ბოლომდე ტვირთავთ?***

— ფეხბურთელები მაქსიმალურად ცდილობენ სასურველ კონდიციაში შესვლას. ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საშუალება მომეცა, საკუთარ შეგირდებს ხედვები გავაცნო და კომპლექსური სამუშაოები ჩავატარო.

***— სეზონის წინ რა მიზნები გაქვთ?***

— ჩვენ გვსურს, მაქსიმუმი გავაკეთოთ და მადრიდის „რეალი“ კვლავაც ქუხდეს. სხვა მიზანი ნამდვილად ვერ იარსებებს.

***— პრესეზონის დასასრულს როგორ გუნდს ელოდებით?***

— კოლექტივს, რომელიც მოიგებს ყველა თამაშს, ითამაშებს დინამიკურ და აგრესიულ ფეხბურთს, გაიტანს უამრავ გოლს და შეძლებს ოქროს მედლების მოპოვებას. ჩვენ გვსურს ისეთი გუნდის შენება, რომელიც იქნება ინტენსიური და სანახაობრივი ფეხბურთის მოყვარული.

***— როგორი განწყობაა გუნდში?***

— გუნდი ძალიან კარგ განწყობაზეა. ისინი დიდი პროფესიონალები არიან. ძალიან ინტენსიურად ვარჯიშობენ. ერთი სიტყვით რომ ვთქვა, ძალზე კარგი ჯგუფია.

***— ბევრს საუბრობენ სერხიო რამოსის წასვლაზეც.***

— რამოსი ბრწყინვალედ ირჯება. მე მომწონს მისი პროფესიონალიზმი და მონდომება. პრეზიდენტმა თქვა, რომ ის მადრიდში დარჩება და გააგრძელებს ჩვენთან კარიერას, რის გამოც მე მსოფლიოში უბედნიერესი ადამიანი ვარ. იმ ყველაფრიდან გამომდინარე, რაც ბოლო დღეებში ვნახე, ის ბრწყინვალე კაპიტანი იქნება.

***— გქონდათ რამოსთან საუბარი?***

— რა თქმა უნდა. მოვისმინე მისი იდეები მომავალთან დაკავშირებით. წასვლაზე არც მაშინ და არც შემდეგ არ გვისაუბრია. ჩემი მთავარი სამუშაო არის ის, რომ რამოსი კარგად გაისარჯოს და დაგვეხმაროს. მომავალს სერხიო რამოსთან ერთად ვხედავ, ვინაიდან თავისი მენტალიტეტითა და ლიდერობის უნარით ის ამ გუნდის მთავარი საყრდენი უნდა იყოს.

***— დავიდ დე ხეას ტრანსფერთან დაკავშირებით რას გვეტყვით?***

— ის ჩვენი ფეხბურთელი არ არის, სხვა კლუბს ეკუთვნის. „რეალს“ მშვენიერი მეკარეები ჰყავს და მათთან ერთად ვაგრძელებთ მუშაობას. კეილორი უკეთეს პოზიციაზეა თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიდრე პაჩეკო და რუბენი. თუ სხვა მეკარე მოვა, გავაგრძელებ მასთან ერთად მუშაობას.

***— ოდეგორის განათხოვრებაზეც ბევრს საუბრობენ.***

— ძალიან მომწონს ეს ფეხბურთელი. შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა ტექნიკამ, ფიზიკურად კარგად ვარჯიშობს, სისწრაფე აქვს, მონდომებაც და კონცენტრირებულიცაა ბოლომდე. ძალიან ახალგაზრდაა და უნდა გადავწყვიტოთ, მომავალში რა იქნება. აუცილებელია, რომ მას სათამაშო დრო ჰქონდეს. ახლა ჩვენთან ერთად ვარჯიშობს და ვაკვირდებით მის პროგრესს.

***— რომელი ფეხბურთელი მოგწონთ ყველაზე მეტად?***

— ასეთი კითხვები ჩემს ქალიშვილს ან დედამისს დაუსვით და არა მე. ეს ძალიან რთული კითხვაა: რონალდუ, ბენზემა, ხამესი თუ ისკო? ყველა მომწონს და ბედნიერი ვარ, რომ მათ შორის არჩევანის გაკეთების პრობლემის წინაშე დავდგები მომავალში.

***— ბეილისა და რონალდუს პოზიციები უკვე გათვლილი გაქვთ?***

— ბეილი ცხრიანის პოზიციაზე და რონალდუ მარცხნივ, მაგრამ წინასასეზონო მომზადებისას სხვადასხვა ვარიანტსაც გამოვცდით. ჯერჯერობით ძირითად წყობაზე საუბარი საკმაოდ ნაადრევია და ვეცდებით, სხვადასხვა ფეხბურთელი სხვადასხვა პოზიციაზე ვათამაშოთ.

***— ალბათ, მთავარი იმედი კრიშტიანუ რონალდუა.***

— მისი შეძენა ჯერ კიდევ მაშინ ვცადე, როდესაც „ვალენსიაში“ ვიყავი. მოგვწონდა მისი თამაში, მაგრამ ჩვენთან მოყვანა ვერ შევძელით. „მანჩესტერში“ თამაშისას მუდამ პრობლემებს მიქმნიდა. ახლა ყველაფერი მოგვარდა. ის ჩემთანაა. ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ძნელია იმის თქმა, თუ ვინ არის საუკეთესო. ჩემი აზრით, კრიშტიანუ, ბეილი, ბენზემა და ხამესი საუკეთესონი არიან.

# ლარი ბიორდი: მეგობრებს ცუდად არ უნდა მოექცე“







კალათბურთის მოყვარულებისთვის კარგად ნაცნობი სახელი და გვარია ლარი ბიორდი. სპორტის ამ სახეობაში ლეგენდებად ფერადკანიანი კალათბურთელები ჭარბობენ, თუმცა ლარიმ ეს მითი დაანგრია. „ბოსტონ სელტიქსის“ ყოფილი კალათბურთელი ამჟამად „ინდიანა პეისერსის“ მოქმედი პრეზიდენტია.

***— ნბა-ს გასულ სეზონში რასელ ვესტბრუკი ერთი თვის განმავლობაში აგროვებდა 30 ქულას, 10 პასსა და თითქმის 10 მოხსნას. მსგავსი მონაკვეთები თქვენს კარიერაშიც ყოფილა. როგორ ფიქრობთ, რა სიმაღლეებს შეიძლება მიაღწიოს მან?***

— ვესტბრუკს ტრავმები აწუხებს და, ამის მიუხედავად, როდესაც მოედანზე გადის, შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, რომ 100 პროცენტით დაიხარჯება. ის ყოველთვის მიმართულია შეტევისკენ და თამაშობს ისე, როგორც ნამდვილ ლიდერს შეეფერება. მე ძალიან მომწონს მისი თამაში და, იმედია, რასელი მვპ იქნება ზედიზედ 10 წლის განმავლობაში.

***— თქვენ და ვესტბრუკი სხვადასხვა პოზიციაზე თამაშობდით, მაგრამ თუ გაქვთ საერთო ერთმანეთთან?***

— ვერ გეტყვით. ჩემი საკალათბურთო მსოფლმხედველობა, რომელსაც ახალგაზრდობის ასაკში მაზიარეს, იმაში მდგომარეობს, რომ, როცა მოედანზე გადიხარ, მოგებაზე უნდა ითამაშო. თუ ამას არ ცდილობ, მაშინ საერთოდ რა საჭიროა ანგარიშის დათვლა.

***— ორი სეზონის განმავლობაში თამაშიდან 50 პროცენტს აგდებდით, აქედან — სამქულიანების 40 პროცენტსა და ჯარიმების 90 პროცენტს. რამდენად გასაკვირია ის, რომ კაილ კორვერი, რომელიც არ არის თქვენი დონის ვარსკვლავი, ზუსტად ასეთივე პროცენტებს აფიქსირებს?***

— ეს მართლაც შთამბეჭდავია და ასეთი მაჩვენებლების მიღწევა რთულია, მით უმეტეს, რომ ის არ არის გუნდის აშკარა ლიდერი. ერთია, როცა კორვერი შანსს იღებს, იყენებს კიდეც. როდესაც ვთამაშობდი, მოედანზე სტატისტიკაზე არ ვფიქრობდი, უბრალოდ, ვცდილობდი, როდის მიმდიოდა თამაში. ეს ყოველთვის არ გამოიხატებოდა დაგროვებულ ქულებში. მეტ სიამოვნებას ვიღებდი გუნდურ თამაშით, რადგან ნაწილობ, მოხსნება და პასება ასევე კალათბურთის მნიშვნელოვანი ნაწილია.

***— დარწმუნებული ხართ, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა თქვენ მიერ დაგროვებული ქულების რაოდენობას, როდესაც გუნდი კარგად თამაშობდა? მსგავს თემაზე საუბრობს ლებრონ ჯეიმსიც.***

— ნამდვილად. მოედანზე გავდიოდი და ვაკეთებდი იმას, რაც გუნდს სჭირდებოდა. ალბათ, ლებრონიც ასე მოქმედებს. ის კალათბურთს სხვანაირად უყურებს. ჯეიმსი ყოველთვის მომართულია იმაზე, რომ ბურთი პარტნიორს გადააწოდოს, თუ ის უკეთეს პოზიციაში იმყოფება. სწორედ ასეთი უნდა იყოს კალათბურთი. ახალგაზრდობაში ყველას სურს თავის გამოჩენა და რაც შეიძლება მეტი ქულის დაგროვება. მაგრამ დროთა განმავლობაში ხვდები, რომ ხშირებზე სურნამცხვრის საკუთარი ნაჭრის მიღება.

***— რიკ კარლაილმა ერთი სახელიანი ისტორია მოყვა თქვენ შესახებ: 2000 წელს ვარჯიშზე მონაწილეობა მიიღეთ ახალგაზრდებს და ვეტერანებს შორის ორმხრივ შეხვედრაში — ოთხი ოთხზე ნახევარ მოედანზე. როდესაც გამარჯვების ტყორცნა ჩააგდეთ და იატაკზე დაეცით, პარტნიორებმა ზედახორა მოაწყვეს. გახსოვთ ის შემთხვევა?***

— რა თქმა უნდა. მე, კრის მალინმა, რიკ სმიტსმა და დერიკ მაკკიმ ვითამაშეთ ელ ჰარინგტონის, ოსტინ კროშირის, ჯონათან ბენდერის წინააღმდეგ. მეოთხე არ მახსოვს. ჩვენ მოვიგეთ. ეს იყო ბოლო შემთხვევა, როცა თამაშს დავთანხმდი და ბოლოს დავეცი მოედანზე, რადგან ძალიან დავიღალე.

***— 30 წელი გავიდა, რაც „ატლანტასთან“ 60 ქულა დააგროვეთ. რა გახსოვთ იმ დღიდან? ისევ მიგაჩნიათ ის მოვლენა მნიშვნელოვნად?***

— ვერ გეტყვით, რომ ის მატჩი კარგი კალათბურთი იყო. მიყვარს დაჯილდოებოლი ორთაბრძოლები, ის მატჩი კი მშვიდად მიდიოდა. არც ერთ გუნდს არ ჰქონდა ძალიან დიდი უპირატესობა. ჩვენ არ ვიყავით 20 ან 25 ქულით, მაგრამ ყოველთვის წინ ვიყავით დაახლოებით 10 ქულით. ამიტომ ვერ ვუწოდებ იმ მატჩს საინტერესოს.

***— როგორი მატჩები განიჭებდათ სიამოვნებას?***

— დავასახელებ 1986 წლის ფინალური სერიის მეექვსე მატჩს, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ჩემი საუკეთესო თამაში იყო, თუმცა სრულად ვაკონტროლებდი მოედანზე მიმდინარე მოვლენებს (იმ მატჩში ბიორდმა 29 ქულა, 12 პასი და 11 მოხსნა დააგროვა, ხოლო „ბოსტონმა“ „ჰიუსტონი“ დაამარცხა და ჩემპიონი გახდა). ვაკეთებდი იმას, რაც მსურდა. ამ მატჩში ტიტულის ბედი ირკვეოდა. მაშინ მთელი სერია ძალიან მძიმე გამოვიდა.

***— როგორ ახერხებდით საუკეთესო თვისებების გამოვლენას სწორედ გადამწყვეტ მომენტში?***

— არ ვიცი. რთულ მატჩებში წინასწარი პროგნოზირება ძნელია, თუმცა საკუთარ თავში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რადგან ყოველთვის ბევრს ვმუშაობდი ვარჯიშებზე. მაწუხებდა მხოლოდ ის, რამდენად კარგად ვითამაშე, რადგან, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის ვთამაშობდი.

***— იმ მატჩის დროს, რომელშიც 60 ქულა დააგროვეთ, როდის მიხვდით, რომ რეკორდზე მიდიოდით?***

— ამას იმ მომენტში მივხვდი, როცა კევინ მაკჰეილმა ორი კვირით ადრე 56 ქულა დააგროვა. დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც მსგავსს მეც შევძლებდი (მაშინ ბიორდმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ძალიან მალე დაამხობდა მაკჰეილის რეკორდს). ერთია, მაკჰეილი მაშინ მოედნიდან საფინალო სირენამდე გაცილებით ადრე გავიდა. ასე რომ არ მომხდარიყო, კიდევ რამდენიმე ბურთის ჩაგდება შეეძლო.

***— მოგვიყევით რაიმე ისტორია კევინ მაკჰეილზე.***

— მან ერთხელ ძალიან ცუდი საქციელი ჩაიდინა, რაც კი შეიძლება მეტოქის მიმართ გააკეთო. „გოლდენ სტეიტს“ ვეთამაშებოდით, დიდი ანგარიშით ვუგებდით და მატჩს აზრი ჰქონდა დაკარგული. მაკჰეილმა ერთ-ერთ მეტოქეს, რომელთან ერთადაც კოლეჯში თამაშობდა, უთხრა, თუ ბურთს სამწამიანში მიიღებ, შემობრუნდი და ესროლე, მე თავს მოვაჩვენებ ყველას, რომ დაცვას ვცდილობო. ასეც მოხდა, მაგრამ მაკჰეილმა მას ისეთი არანორმალური ბლოკი დაუყენა, რომ ბურთი ტრიბუნების მეექვსე რიგზე გაფრინდა. გულწრფელად შემეცოდა ის ბიჭი და მწვრთნელს ვთხოვე, შევეცვალე. ეს იყო ყველაზე ცუდი საქციელი, რომელიც მოედანზე მინახავს. არ შეიძლება, ასე მოექცე მეგობრებს.

***— დომინიკ უილკინსის ძეგლის გახსნისას იხუმრეთ, რომ კალათბურთელი აშკარად არ დგას დაცვაში. რას იტყვით უილკინსთან დაპირისპირებებზე?***

— დომინიკი ძალიან ძლიერი კალათბურთელი იყო. როცა პირველად გამოჩნდა ნბა-ში, ყველა მის ნახტომს გამოყოფდა, ამასთან, ძალიან ეფექტური იყო, როცა ორი ფეხით ხტებოდა, არადა, კალათბურთელების უმრავლესობა ერთი ფეხით ნახტომს ამჯობინებს. მაგალითად, ასე აკეთებდა მაიკლ ჯორდანი. მე საერთოდ არ მქონდა ნახტომი და ეფექტური არ ვიყავი, მაგრამ ეს საერთოდ არ მაწუხებდა. უილკინსი ძალიან ნიჭიერი იყო და ბევრი რამის შესრულება შეეძლო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ...

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# ბობოქარი დებატები უკრაინაში

## პრეზიდენტი პოროშენკო: „რუსეთი უკრაინაში შემოჭრისათვის ემზადება“

დონბასში ვითარება სულ უფრო რთულდება. სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები ამაოდ ცდილობენ, უკრაინელი ჯარისკაცები სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტებიდან განდევნონ. მოსკოვი კი სამხედრო ინტერვენციით იმუქრება. შექმნილი მდგომარეობა დასავლეთის მხარდ შეშფოთებას იწვევს.

—ახალი ომის საფრთხე რეალურია,—იტყობინება „ამერიკის ხმა“.



### ნულანდის ვიზიტი კიევში

კიევში თეთრი სახლის წარმომადგენელი ვიქტორია ნულანდი ჩავიდა. ის პრეზიდენტ პოროშენკოს შეხვდა. საუბარი დახურულ კარს მიღმა წარიმართა. ამის შემდეგ გაზეთ „უკრაინსკა პრავდის“ ფურცლებზე ჩნდება მასალა, რომელშიც ნათქვამია:

—პრეზიდენტი პოროშენკო დონეცკ-ლუგანსკის ოლქებისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას აპირებს!

აღნიშნული ინფორმაცია უკრაინის პარლამენტის ვიცესპიკერმა ოქსანა სიროიდმაც დაადასტურა. მან განაცხადა, რომ პოროშენკოს გადაწყვეტილება, დონბასს განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭონ, დასავლეთის ზეწოლის შედეგადაა მიღებული.

—ჩვენს ქვეყანაზე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან უდიდესი ზეწოლა ხორციელდება,—თქვა სიროიდმა.

### რას ნიშნავს განსაკუთრებული სტატუსი

დონბასისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება გულისხმობს: 1) დონბასს უნდა ჰყავდეს საკუთარი პოლიცია (ე.წ. სახალხო მილიცია, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას დაემორჩილება); 2) დონბასის პარლამენტს ეძლევა უფლება, ვეტო დაადოს კიევის ნებისმიერ გადაწყვეტილებას; 3) ჰქონდეს საკუთარი კონსტიტუცია; 4) ჰქონდეს უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს, რეგიონში რომელ ენას მიენიჭოს სახელმწიფო სტატუსი; 3) დაამყაროს ნებისმიერ სახელმწიფოსთან სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობები; 4) დამოუკიდებლად განსაზღვროს, თანხის რა ნაწილი გადარიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში; 5) დამოუკიდებლად შეიმუშაოს სასწავლო პროგრამები; 6) დაამყაროს კონტროლი საზღვრებზე.

ასეთია პუტინისეული სქემა, რომელმაც თითქოს დონბასის მშვიდობა უნდა უზრუნველყოს.

—ფაქტობრივად, ეს არის არა ფედერალიზაციის, არამედ კონფედერაციის მოდელი ანუ დონბასი უკრაინის შემადგენლობაში მხოლოდ ფორმალურად იქნება,—აცხადებს უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ოლეგ ლიაშკო.

განსაკუთრებული სტატუსი დონბასის იმ ნაწილზე უნდა გავრცელებულიყო, რომელსაც სეპარატისტები აკონტროლებენ, თუმცა შექმნილ სიტუაციაში ეს პრობლემატურია. თუკი რუსი ჯარისკაცები და ბოევიკი სეპარატისტები დონეცკსა და ლუგანსკში არიან, გარეუბნებში (მარინკა, ავდეევცკა, პესკი, სჩასტიე, სტანიცა ლუგანსკაია და ა.შ.) უკრაინელები დგანან. მედიაშიც გაჩნდა ცნობები, თითქოს ხელისუფლება შიროკინოს, პესკის, ავდეევკას ჩაბარებას გეგმავდა, რათა ამის შემდეგ დონბასი შუაზე გაყოფილიყო. პოლიტოლოგმა ერმოლაევმა რადიო „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დაგეგმილია ამჟამინდელი „ლუგანსკის რესპუბლიკის“ ნაცვლად „აღმოსავლეთი დონბასის ავტონომიური ოლქის“ შექმნა, ხოლო ამჟამინდელი „დონეცკის რესპუბლიკის“ ნაცვლად — „დასავლეთი დონბასის ავტონომიური ოლქის“ ჩამოყალიბება.

### საპროტესტო აქციები და დაპირისპირება პარლამენტში

ცნობამ დონბასისათვის „განსაკუთრებული სტატუსის“ მინიჭებისა და გარკვეული დასახლებული პუნქტების დათმობის შესახებ მთელი უკრაინა ფეხზე დააყენა. მასობრივი აქციები გაიმართა ხარკოვში, ზაპოროჟიეში, დნეპროპეტროვსკში, კიევში. მარიუპოლის ქუჩებში 50.000-მდე ადამიანი გამოვიდა.

მასობრივმა პროტესტებმა შედეგი გამოიღო. პრეზიდენტმა პოროშენკომ განაცხადა, რომ





დონბასის განსაკუთრებულ სტატუსზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. საუბარი უნდა იყოს თვითმმართველობის განსაკუთრებულ ფორმაზე, რომელსაც დონეცკ-ლუგანსკის იმ რაიონებში შემოიღებენ, რომლებსაც დღეს სეპარატისტები და რუსი ოკუპანტები აკონტროლებენ. პრეზიდენტმა საგანგებოდ აღნიშნა: თვითმმართველობის განსაკუთრებული ფორმა და განსაკუთრებულ სტატუსი ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდება. თვითმმართველობის განსაკუთრებული ფორმა ითვალისწინებს: 1) ადგილობრივი ხელისუფლების თავისუფლებას ეკონომიკური კავშირების დამყარების საკითხებში; 2) ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს ეძლევათ უფლება, განსაზღვრონ, თუ რომელ ენაზე უნდა წარიმართოს საქმის წარმოება სასამართლოებში; 3) თვითმმართველობას უფლება ეძლევა, განსაზღვროს, თუ თანხის რა ნაწილი გადარიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში; 4) ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფციაში შედის ისეთი სფეროები, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა, სპორტი. ამავე დროს, მის კომპეტენციაში არ შედის თავდაცვა, უშიშროება, საგარეო პოლიტიკა. ამას გარდა, პრეზიდენტს უფლება ეძლევა, დაშალოს თვითმმართველობის ორგანოები, ვეტო დაადოს მათ გადაწყვეტილებებს, აუცილებლობის შემთხვევაში პარლამენტთან შეთანხმების გარეშე ხსენებულ რეგიონში ჯარი შეიყვანოს და თვითმმართველობის ნებისმიერი ურჩი წევრი დააპატიმროს. ამას გარდა, თვითმმართველობის განსაკუთრებულ ფორმაში გამოირიცხება მმართველობის ისეთ ფორმის დაკანონება, როგორიცაა „დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკა“.

—ფაქტობრივად, ეს არის უნიტარული მოდელი, თუმცა რეგიონს ავტონომიის გარკვეულ უფლებებს ანიჭებს, —აცხადებს უკრაინელი ექსპერტი ფისენკო.

მიუხედავად ამისა, უკრაინელი ნაციონალისტები ამასაც გააფთრებით შეეწინააღმდეგნენ. კამათი ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ბატალიონ „დნეპრ-1“-ის მეთაურმა პარასიუკმა პოროშენკოს ბლოკის წარმომადგენელ ნასიროვს სახეში გაარტყა. გაიმართა ჩხუბი. პარასიუკს მისი მეგობარი დეპუტატები მიეშველნენ, ნასიროვს — პოროშენკოს ბლოკის წევრები. პარლამენტის შენობაში მასობრივი ცემა-ტყეპა გაიმართა.

—ჩხუბში დაახლოებით ოცამდე მამაკაცი მონაწილეობდა. ისინი ერთმანეთს მთელი გამეტებით ურტყამდნენ,—იტყობინება 112-ე არხი.

ასეთმა მწვავე ფონმა ხელისუფლება აიძულა, მორიგ კომპრომისზე წასულიყო. გადაწყდა, რომ კანონი დონბასის ცალკეულ რეგიონებში თვითმმართველობის განსაკუთრებული ფორმების შემოღების შესახებ კონსტიტუციურ სასამართლოს გადაეცეს. სასამართლომ უნდა შეისწავლოს, თუ რამდენად შეესაბამება ის კონსტიტუციას, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ უკრაინა უნიტარული სახელმწიფოა. შემდეგ საკითხს კვლავ პარლამენტი განიხილავს. ამან ვითარება განმუხტა. დეპუტატების უმრავლესობამ ამ წინადადებას მხარი დაუჭირა.

### პუტინი ობამას გაურიგდა?

სანამ უკრაინაში საპროტესტო აქციები და ცხარე დებატები მიმდინარეობდა, ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა და პუტინის ყოფილმა თანაშემწე ანდრეი ილარიონოვმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ორი დღის წინ პუტინობამას შორის გარიგება შედგა. რუსეთის პრეზიდენტმა თავის ამერიკელ კოლეგას ირანისა და სირიის პრობლემების მოგვარებაში დახმარება აღუთქვა, სამაგიეროდ, ობამა შეჰპირდა, რომ უკრაინის ხელმძღვანელობას დაიყოლიებდა, რათა დონბასს ფართო ავტონომია მიანიჭონ, რითაც დაიწყება უკრაინის ფედერალიზაცია. ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გარიგება უკრაინის ზურგს უკან და მის ხარჯზე შედგა. მან ამას ახალი მიუნხენი (მიუნხენ-2) უწოდა.

— ობამამ უკრაინა გაყიდა! —ამტკიცებს ილარიონოვი.

### რა დგას ილარიონოვის განცხადების უკან?

უკრაინელი პოლიტოლოგი ანდრეი ციმბალიუკი ფიქრობს, რომ პუტინი დონბასის უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნებას არასოდეს დაუშვებს. წარსულს ჩაბარდა დრო, როცა განსაკუთრებული სტატუსით ან სულაც ფედერალიზაციით თუ ნეიტრალიტეტის გამოცხადებით დონბასის უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნება შეიძლებოდა. ახლა რუსეთი როგორც მთელი დონბასის, ასევე ხარკოვის, ზაპოროჟიეს, ხერსონის ოკუპაციას შეეცდება. პუტინის მიზანია სწორედ იმ ტერიტორიების შემოერთება, სადაც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსია განთავსებული. უწინარეს ყოვლისა, ესაა ხარკოვი, ზაპოროჟიე, ხერსონი, დნეპროპეტროვსკი, ოდესა. თუკი მან ეს შეძლო, უკრაინული არმია კარგა ხანს წელში ვერ გაიმართება.

უკრაინაში დღეს უმძიმესი მდგომარეობაა. ეკონომიკურ სიდუხჭირეს კლანებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლაც ერთვის. პრემიერი ებრძვის პრეზიდენტს და პირიქით. შს მინისტრი პრემიერს უპირისპირდება. ასეთ სიტუაციაში პუტინს შესაძლოა გაუჩნდეს ცდუნება, რათა სწრაფი და ძლიერი დარტყმით ჯერ დონბასის, შემდეგ ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს ოკუპაცია მოახდინოს.

—თანახმად დაზვერვის ინფორმაციისა, რუსეთი უკრაინაში შემოჭრისათვის ემზადება,—განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

ილარიონოვმა (მას პუტინთან ძველი ანგარიშები აქვს) თავისი განცხადებებით ინტერვენციის წარმატებით დაგვირგვინების შანსი მკვეთრად შეამცირა, თუმცა საფრთხე ბოლომდე განეიტრალებული არ არის. როგორ განვითარდება შემდგომი მოვლენები? დღეისათვის უდავოა ერთი: უკრაინას სერიოზული ბრძოლები მოელის.

**ნიკა თევზაძე**



ქალბატონ
**მაია მჭედლიძეს!**
გილოცავთ დაბადების
50 წლის იუბილეს,
გისურვებთ
ჯანმრთელობას,
ბედნიერებასა და
დიდხანს სიცოცხლეს.
*ქეთინო და ნუგზარი*

### მადლობის წერილი

მეტროსადგურ „300 არაგველში“ დავკარგე საფულე. მეტროს პოლიციის თანამშრომელმა ნონა დიღმელაშვილმა ნახა და გადასცა ნივთები შსს-ს.

ქალბატონო ნონა, უღრმესი მადლობა, სიხარული რომ მაჩუქეთ. მერწმუნეთ, არ ველოდი ასეთ ფინალს.

ასევე მადლობა შსს-ს თანამშრომელ ბატონ მიხეილ ჩიხლაძეს ყურადღებიანი მიღებისათვის.

*ჯ.გულუა*


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ექიმი-სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით მამაკაცებში სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარისა და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებას, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასო. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სიახლე!!! 3-კომპონენტიანი კუპაჟი — გასახდომი ყავა!!! ანტიდიაბეტური ეფექტით! 750 მლ-იან ქილაში, 40-45 დღის — 15 ლარი. მის: თამარ მეფის 27. ტელ: 558-59-59-82.

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრებებით: „პლანტა“-ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც), „პლანტა-გლანდა“-ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა. „პლანტა“-კისტა, ფიბრომა, მომატებული პროლაქტინი... კენჭოვანი დაავადებები, პროსტატიტი, ადენომა, კოლიტი, შაკიკი. ტელ: 259-59-82, 558-59-59-82. ენვერი.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ ვაზიანში (მუხრანთან ახლოს, თბილისიდან 35კმ-ში) 2000 კვ.მ. ხეხილიანი, შემოსაზღვრული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სინათლე, წყალი, გაზი, ახლოსაა. 1 კვ.მ-ს ფასი 2,5 დოლარი. ტელ: 0790-90-32-96; 568-657-486 ალექსანდრე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულსარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533, ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## ორშაბათი 20 ივლისი

**08.00** დ/ფ "ოდისეები" **08.30** ან./ფ "ზუ", "მადმუაზელ ზაზი" **09.30** "სადილის დრო" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.20** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **11.20** "საუკუნის პორტრეტები" **12.30** მხ/ფ **"სასახლის არომატები"** **14.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "არენა" **23.30** მხ/ფ **"დახეული ფარდა"** (პ. ნიუმენი) **02.00** დ/ფ "ქალაქები"

**08.00** დ/ფ "ლანსის ლუვრის გალერეა" **09.00** მხ/ფ **"საიდუმლო ბაღში დაბრუნება"** **10.35** დ/ფ "ეგვიპტე" **11.00** ქარ. მხ/ფ **"თოჯინები იცინიან"** **12.30** დ/ფ "მადაგასკარი" **13.00** "აფხაზეთი" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 17.00, 21.00, 22.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** "ნამდვილი დრო"

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **10.05** სერ. **"კარმა"** **11.20** სერ. **"ბოშა ქალი"** **12.30** დღის შოუ **14.40,15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** მხ/ფ **"ვირთხების რბოლა"** (რ.ატკინსონი) **00.00** მხ/ფ **"ფრანკლინის ბინა"** (მ.ლუკასი) **01.50** მხ/ფ **"წყვდიადის სამეფო"** (კ.ბეკინსეილი) **03.50** მხ/ფ **"მთელი ცხოვრება მის თვალწინ"** (უ.თურმანი)

**06.30, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** X-ფაქტორი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.10** მხ/ფ **"ნიუმბერგის პროცესი"** II ს **07.45** თვენი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"აკაკის აკვანი"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** აქტუალური თემა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი **"ძველი ვოდევილები"** **17.30** დეკორატიული ფლორა "შრომატე სანგუანა ტრიქოლოგი" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"თუში მესხვარე"** I სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი **21.50** ჩვენი ამბავი "ბრძოლა აჭარისთვის" **22.25** დოკ. ფ. "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ახმეტა **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **22.50** მუს.პაუზა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ. ფ. **00.25** სათავეებთან "მემედ აბაშიძე" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

